CYAN BLACK

# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 28 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2004 ᲬᲔᲚᲘ. №225 (4954) * ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1918 ᲬᲔᲚᲡ, ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ 1990 ᲬᲔᲚᲡ. * ᲤᲐᲡᲘ 50 ᲗᲔᲗᲠᲘ

◉ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ – ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ

## ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲕᲐᲪᲝᲪᲮᲚᲔᲑᲡ!








**ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ დაცემის 11 წლისთავთან დაკავშირებით, გუშინ დევნილობაში მყოფი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრებმა და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის საკმაოდ დიდმა ნაწილმა, „გმირთა მოედანზე", საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპულ გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს.**

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის თემურ მჟავიას განცხადებით, 27 სექტემბერი ტრაგიკული, თუმცა არა დამარცხების დღეა. მან იმედი გამოთქვა, რომ ახალი ხელისუფლება და მასთან ერთად ქართველი ხალხი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უმოკლეს ვადაში აღდგეს.

– ამის წინაპირობაა საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის და საზოგადოების კონსოლიდაცია. ეს ერთობა მე იმედს მაძლევს, რომ აფხაზეთი უეჭველად დაუბრუნდება თავის დედა სამშობლოს – საქართველოს, – აღნიშნა მჟავიამ.

* * *

**ᲒᲣᲨᲘᲜᲕᲔ, აფხაზეთის ომში დაღუპულ გმირებს „მერვე პოლკის" დასახლებაში არსებულ მემორიალთან პატივი მიაგეს.**

ისანი-სამგორის გამგეობის ინიციატივით, დაღუპული გმირების სულების მოსახსენიებლად მემორიალთან პანაშვიდი გადაიხადეს, რომელსაც გამგეობის წარმომადგენლებთან ერთად, თბილისის მთავრობის წევრებიც ესწრებოდნენ.

აფხაზეთში დაღუპულთა მემორიალი „მერვე პოლკის" დასახლებაში, 139-ე საშუალო სკოლის შენობასთან რამდენიმე წლის წინათ მოეწყო.

* * *

**ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲡ დაცემის დღესთან და ჯვართამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით, გუშინ ზუგდიდში, დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილზე, მსვლელობა გაიმართა.**

იგი დაიწყო სოხუმის №1 საშუალო სკოლიდან, რომელიც ზუგდიდშია განთავსებული და დადიანების სასახლის მიმდებარე ტერიტორიამდე გაგრძელდა.

გუშინვე მსვლელობის მონაწილეები, ძირითადად სოხუმელები, ზუგდიდის ეპარქიის საკათედრო ტაძრისკენ გაემართნენ, სადაც აფხაზეთის ტერიტორიაზე დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

შემდეგ, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, ზუგდიდში ხანმოკლე მიტინგი გაიმართა. ღონისძიებების ორგანიზატორი აფხაზეთის მთავრობა იყო.

ᲘᲮ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.

## ნომერში წაიკითხავთ:


### ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ ᲤᲘᲚᲐᲠᲛᲝᲜᲘᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔᲐ ᲓᲐᲕᲐ



საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის რეჟისორი ლანა საყვარელიძე ბრალს სდებს ფილარმონიის გენერალურ დირექტორს მერაბ დონაძეს ამ დაწესებულების განადგურებაში.

მერაბ დონაძე თავს იცავს.

გვ. მე-4.

### „ᲘᲕᲐᲜᲘ" „ᲯᲔᲘᲜᲛᲐ" ᲨᲔᲪᲕᲐᲚᲐ...



აშშ, კერძოდ ფლორიდას, კვლავ უტევს სტიქია. ამის შესახებ მოგვითხრობს ჩვენი საკუთარი კორესპონდენტი შტატებში ჯუმბერ ჯიშკარიანი.

გვ. მე-5.

### ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲘ ᲤᲘᲠᲤᲘᲢᲐ



ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲡᲗᲐᲜ უმნიშვნელოვანესი შესარჩევი მატჩის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში კიდევ ერთხელ აირია მონასტერი.

გვ. მე-7.


◉ ᲐᲜᲝᲜᲡᲘ




**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის (უფროსი – გიორგი უდესიანი) ინიციატივით კვირას ვაკის პარკიდან თავისუფლების მოედნამდე მოეწყო მასობრივი მძლეოსნური გარბენი „გულის მსოფლიო დღის" აღსანიშნავად. ამ ღონისძიებისადმი მიძღვნილ მასალას ფოტორეპორტაჟითურთ გაზეთის ხვალინდელ ნომერში იხილავთ.**

◉ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

## ქვეყანამ, რომელსაც წელში გამართვა სურს, უნდა იცოდეს გმირების დაფასება

**ᲬᲚᲔᲣᲚᲡ, მარტში, ქიული შარტავას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდებოდა. სწორედ მაშინ განაცხადა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა, რომ ამ შესანიშნავ ვაჟკაცსა და ჭეშმარიტ მამულიშვილს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველს უნდა მინიჭებოდა ეროვნული გმირის მაღალი წოდება. და აი, გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა სახელმწიფო კანცელარიაში ოფიციალურად გადასცა ქიული შარტავას ოჯახის წევრებს ეროვნული გმირის მოწმობა.**

– აფხაზეთის ოკუპაცია, აფხაზეთზე კონტროლის დაკარგვა, – განაცხადა ბატონმა მიხეილმა, – იყო ყველაზე შავი ფურცელი თანამედროვე ქართული ისტორიისა და ერთ-ერთი ყველაზე მძიმე ფურცელი ზოგადად ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა. აფხაზეთში მარცხი განაპირობა რამდენიმე ფაქტორმა. მათ შორის პირველი და მთავარი იყო ეროვნული გათიშულობა და ღალატი. და თუ ჩვენ გვსურს აფხაზეთის დაბრუნება, და ჩემი ცხოვრების მიზანი კი სწორედ აფხაზეთზე კონტროლის აღდგენაა, ჩვენ აღარასოდეს



არ უნდა დავუშვათ გათიშულობა და მყარად უნდა აღვუდგეთ წინ იმ მოღალატეებს, რომლებიც რა თქმა უნდა, დღესაც არიან საქართველოში.

– მაგრამ საქართველოს, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა, – საბედნიეროდ, ყოველთვის ჰყავდა გმირები. ქვეყანამ, რომელსაც წელში გამართვა სურს, უნდა იცოდეს გმირების დაფასება.

ᲘᲮ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.

◉ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲘ

## „ᲒᲐᲚᲐ" ᲗᲣ „ᲡᲞᲔᲪᲛᲝᲜᲢᲐᲟ ᲖᲔᲢᲘ?"

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პარლამენტში კონდიცირება-ვენტილაციის პრობლემა სულ მალე გადაიჭრება და შეიძლება ითქვას, წარმატებითაც. ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა გუშინ აპარატის სატენდერო კომისიის (კომისიის თავმჯდომარე – პარლამენტის აპარატის უფროსი გოჩა მარტინენკო) სხდომაზე, სადაც ტენდერში მონაწილე ორმა იურიდიულმა პირმა შპს „გალამ" და შპს „სპეცმონტაჟ ზეტმა" სატენდერო წინადადებები, კანონმდებლობიდან გამომდინარე, დალუქული კონვერტებით წარმოადგინეს. კონვერტები იქვე, სატენდერო კომისიის წინაშე გაიხსნა.**

პარლამენტის კონდიცირება-ვენტილაციის სისტემების შეძენა-მონტაჟი და ამუშავება-გამართვის სამუშაოების შესრულება შპს „სპეცმონტაჟ ზეტის" გაანგარიშებით 460 000 ლარი ჯდება. შპს „გალა" იგივე სამუშაოსათვის 447 580 ლარს ითხოვს. „სპეცმონტაჟ ზეტი" სატენდერო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 70 დღეში ვარაუდობს. „გალას" გაანგარიშებით, ამ ყველაფერს 90 დღე დასჭირდება.

ᲘᲮ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.

◉ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

### ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲑᲐ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ თავდაცვის სამინისტროს სამომავლოდ ამერიკული მოდელის შესაბამისად მომზადებული კიდევ 4 000 ჯარისკაცი ეყოლება, – განაცხადა გუშინ თბილისის აეროპორტში გამართულ ბრიფინგზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გიორგი ბარამიძემ.**

**მისი თქმით, აშშ-ში სამუშაო ვიზიტის პერიოდში იგი შეხვდა აშშ თავდაცვის მდივანს დონალდ რამსფელდს და სხვა ოფიციალურ პირებს, რა დროსაც გადაწყდა ორი ქვეყნის სამომავლო პარტნიორობის გეგმის დეტალები.**

**როგორც მინისტრმა განმარტა, აღნიშნული 4 000 ჯარისკაცი „წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებში არ მომზადდებიან, რადგან მისი განხორციელება საქართველოში უკვე დასრულდა, ამიტომ წვრთნის ახალ პროგრამას სხვა სახელწოდება მიენიჭება.**

**ამერიკული მხარე საქართველოს თავდაცვის სფეროში სამჯერ მეტ დახმარებას გაუწევს, ვიდრე აქამდე, – აღნიშნა მინისტრმა, თუმცა ჯერჯერობით იმ თანხის მოცულობა, რასაც ქართველ ჯარისკაცთა მომზადებისთვის ამერიკული მხარე გამოყოფს, არ დააკონკრეტა.**

### ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ ᲮᲕᲐᲚ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომა, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაჭავარიანი უძღვებოდა.**

**ბიუროს წევრებმა მიმდინარე სასესიო კვირის დღის წესრიგზე იმსჯელეს. კანონმდებლები პლენარულ სხდომებზე ოცდაათზე მეტი საკითხის განხილვას გეგმავენ, მათ შორის არის როგორც კანონპროექტები, ასევე სარატიფიკაციო დოკუმენტები. აღსანიშნავია, რომ პარლამენტი მიმდინარე კვირას „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის პროექტის განხილვასაც აპირებს.**

**ბიუროს გადაწყვეტილებით, პარლამენტის პლენარული სხდომა ოთხშაბათს, 29 სექტემბერს, 11 საათზე გაიხსნება.**

### ᲔᲕᲠᲝᲑᲐᲜᲙᲘ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ახალი მთავრობის საქმიანობით კმაყოფილმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა საქართველოში მუშაობის ახალი სტრატეგია შეიმუშავა.**

**ბანკი საქართველოში ინფრასტრუქტურის განვითარებას შეუწყობს ხელს და თანხების კონცენტრაციას ძირითადად კერძო სექტორში, კონკრეტულად ენერგეტიკის, ტრანსპორტის, წყალგაყვანილობის და ტელეკომუნიკაციის დარგებში განახორციელებს. ამასთან, ბანკს დაგეგმილი აქვს საშუალო და მცირე საწარმოებში, აგრეთვე შედარებით დიდ კომპანიებში ადგილობრივი ბანკების მეშვეობით ინვესტიციების განხორციელება. იგი ფინანსური სექტორის გაძლიერებაშიც მიიღებს მონაწილეობას და ახალ პარტნიორ ბანკებთან ერთად, საინვესტიციო პარტნიორებს მოიძიებს.**

### ᲫᲚᲘᲕᲡ ᲐᲠ ᲔᲚᲘᲠᲡᲐ ᲜᲝᲦᲐᲘᲓᲔᲚᲡ ᲬᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐ?!

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიურ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად, 29 სექტემბერს ვაშინგტონში მიემგზავრება, სადაც 29 სექტემბრიდან 4 ოქტომბრამდე მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ყოველწლიური სესია გაიმართება.**

**დაგეგმილია მოლაპარაკებები მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტთან შიგეო კაცუსთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან ჯერონ კრემერსთან. ზურაბ ნოღაიდელი შეხვდება, აგრეთვე, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ვიცე-პრეზიდენტს ასაად ჟაბრს და კორპორაციის რეგიონული პროგრამის მენეჯერს ედუარდ ნასიმს.**

**ᲘᲜᲢᲔᲠ-ᲞᲠᲔᲡᲘ.**

## მოვიდა, ნახა, კმაყოფილი დარჩა



**ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ მეთაური ქალაქი ეროვნული მოძრაობის წლებში ქვეყნის მომავალ მშენებელთა ძლიერი და საიმედო დასაყრდენი იყო. ამიტომ ცნობა იმის შესახებ, რომ 26 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტი გორს ესტუმრებოდა, ქალაქის მოსახლეობამ კმაყოფილებითა და სიამაყის გრძნობით აღიქვა.**

ქალაქი უფრო გაკოხტავდა, გამშვენიერდა და კვირას, შუადღით, საქართველოს პრეზიდენტის კორტეჟი გორში შემოვიდა.

საბრძოლო დიდების მუზეუმთან, იქ, სადაც მეორე მსოფლიო ომში, შემდეგ კი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულთა მემორიალია და მარადიული ცეცხლი ანთია, საპატიო სტუმარს და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ შიდა ქართლის მხარეში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ ქარელი, მხარის სხვა ხელმძღვანელები, რაიონების გამგებლები, ქალაქის საზოგადოებრიობა.

მიხეილ სააკაშვილმა გვირგვინებით შეამკო დიდების მემორიალი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგო სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის დაღუპულთა ხსოვნას.

შემდეგ იგი შეხვდა და გაესაუბრა იქ შეკრებილთ, გამოიკითხა ბევრი მათგანის შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები და ქალაქის განახლებული კულტურის პარკის საზეიმო გახსნას დაესწრო. პრეზიდენტს უამბეს, რომ 11 ჰექტარი ფართობი, რომელიც პარკს უკავია, ხელისუფლებაში ნაციონალების მოსვლის მომენტში ოლიგარქებს ჰქონდათ მიტაცებული. დანგრეული და გაუდაბნოებული ტერიტორია სულ ორიოდ თვეში წესრიგში მოიყვანეს. გაამწვანეს, ჩაყარეს ასობით ძირი ნერგი, გაიყვანეს გზები, აამუშავეს ატრაქციონები, შადრევნები, მოკლედ, როგორც პრეზიდენტმა ბრძანა, თუ გული გულობს, პატიოსანი და მშრომელი ადამიანებისთვის დაბრკოლებები არ არსებობსო.

ᲘᲮ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.

◉ ᲠᲐᲡ ᲬᲔᲠᲔᲜ, ᲠᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲩᲕᲔᲜᲖᲔ

## ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ „ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲗᲐᲜ"

„ᲖᲔᲠᲙᲐᲚᲝ ᲜᲔᲓᲔᲚᲘ" (კიევი), 25 სექტემბერი, ᲐᲚᲐ ᲔᲠᲘᲝᲛᲔᲜᲙᲝ.

ЗЕРКАЛО НЕДЕЛИ

**„ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ წლის წინათ რუსმა ჟურნალისტმა იგორ ცარიოვმა, რომელიც გრიგორი ლუჩანსკის ახლო ნაცნობია, მის შესახებ გამოსცა წიგნი სათაურით „გაუსვლელი დროის გმირი", მაგრამ თვითონ გმირმა ავტორს ამ წიგნის გაყიდვის უფლება არ მისცა. მოგვიანებით, ლუჩანსკისთან საუბრისას, ეს წიგნი მე თვითონ წავიკითხე და მასში ბევრი ისეთი პასუხი ვიპოვე, რომელზეც ინტერვიუს დროს მას ვეკითხებოდი...**

გრიგორი ლუჩანსკი... იგი მეოცე საუკუნის 70-იანი წლების საბჭოთა კავშირში ყველაზე ახალგაზრდა პრორექტორი იყო – რიგის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, დღეს კი მეცნიერებათა დოქტორია. გრიგორი ლუჩანსკი გულღია და ფხიანი ადამიანია, მაგრამ სწორედ ამის გამო დაიჭირეს: მას სახელმწიფო ქონების გაფლანგვა დააბრალეს და გაასამართლეს. თუმცა, ფხიანობას კოლონიაში ყოფნის დროსაც კი არ ივიწყებდა – მშენებარე ქარხანაში სამუშაოთა მწარმოებლად მუშაობდა (როგორც თვითონ გრიგორი ამბობს, მისთვის შრომა ყველა მდგომარეობაში მაშველის როლის შემსრულებელია). კოლონიიდან გამოსვლის შემდეგ მან სწრაფად შეიძინა ფული, პატივისცემა, მეგობრები, თუმცა ყველაფერი ისევ სწრაფად დაკარგა.

და მაინც, ამ ფონზე გრიგორი ლუჩანსკი ნამდვილად არაორდინარული პიროვნებაა. ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს იგი სათავეში ჩაუდგა უცხოეთში არსებულ პირველ საბჭოთა ფირმა „ნორდექსს", რომელიც ევროპულ ბაზარზე გავიდა, მაგრამ იგი დღევანდელი გაგებით, ოლიგარქი არ გამხდარა. ლუჩანსკი არ ფლობს არც ქარხნებს, არც გაზეთებს და არც გემებს, თუმცა მათი შეძენა ყოველთვის შეეძლო – ამის სანაცვლოდ იგი იდეების გენერაციას ახდენს. სწორედ ეს გაეჩხირათ ყელში ძვალად ზოგიერთებს და დაიწყეს ათასნაირი ჭორებისა და ლეგენდების შექმნა მის შესახებ... უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ლუჩანსკის სახელი მრავალ სენსაციურ ისტორიაშია ნახსენები, მრავალჯერ უჩივლეს და ასევე მრავალჯერ გაამართლეს.

ᲘᲮ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.

## ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ

**ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲨᲘ საერთაშორისო სამხედრო კონტინგენტის სარდლის, ამერიკელი გენერალ-ლეიტენანტის დევიდ ბარნოს განცხადებით, „ალ-ქაიდას" ლიდერები უკვე დიდი ხანია, ავღანეთიდან პაკისტანში გადაბარგდნენ. მისი აზრით, ტერორისტები იქ თავს გაცილებით კომფორტულად გრძნობენ.**



**ᲙᲕᲘᲞᲠᲝᲡᲘᲡ იუსტიციის მინისტრმა დოროს თეოდორუმ განაცხადა, რომ ჩეჩენი მოთარეშეები კუნძულის ჩრდილოეთ – თურქეთის ნაწილში წვრთნებს გადიან და თურქეთის ხელისუფლება მათთვის თავშესაფრის მიცემაში დაადანაშაულა.**



**ᲤᲔᲠᲔᲘᲓᲔᲜ ᲮᲘᲮᲐᲜᲘ – ერაყში ირანის კონსული, რომელიც 8 აგვისტოს ქერბალაში გაიტაცეს, გათავისუფლებულია და ამჟამად ბაღდადში, ირანის საელჩოში იმყოფება. დიპლომატის გათავისუფლებასთან დაკავშირებით დაწვრილებით ჯერ არ საუბრობენ.**



**ᲐᲨᲨ-ᲨᲘ ამუშავებენ იმპლანტანტებს, რომლებსაც მხედველობის აღდგენა შეუძლიათ. ახალი ჩიპები სტიმულს მისცემენ თვალის ბადურის უჯრედებს, რაც მხედველობის გაუმჯობესებას გამოიწვევს. გარდა ამისა, ახალი მეთოდის წყალობით მეცნიერები ვარაუდობენ პროთეზების შექმნას, რომლებიც მედიკოსებს ზურგის ტვინისა და სხვა ორგანოების დაზიანებული უჯრედების აღდგენაში დაეხმარებიან.**



CYAN BLACK

პრეზიდენტი

# მოვიდა, ნახა, კმაყოფილი დარჩა

(პირველი გვერდიდან)

ახლა, როცა ქვეყანამ გამოიხედა და ფეხზე ვდგებით, როცა ხელფასებიც დროულად რიგდება და პენსიებიც, როცა ჩვენი ადამიანები სხვა სიკეთეებსაც გრძნობენ, მათ კულტურულ დასვენებაზეც უნდა ვიზრუნოთ. ამ მხრივ განახლებული და აღორძინებული გორის ასწლოვანი პარკი იმის მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ცოტა ხნის წინათ გაუდაბნოებული და განადგურებული ტერიტორია გადაიქცეს კეთილმოწყობილ პარკად.

პარკში პრეზიდენტმა ბევრი საინტერესო რამ ნახა. „ცხელი ხაზით“ დარეკა მხარის ადმინისტრაციაში, დაათვალიერა სპორტული მოედნები, ითამაშა ჩოგბურთი, ბავშვებთან ერთად გაისეირნა „ეშმაკის ბორბლით“, გორელ გოგონასთან ვალსი იცეკვა, „გორული მწვანეც“ დააჭაშნიკა და გზადაგზა ჟურნალისტებს მათთვის საინტერესო კითხვებზეც პასუხობდა.

ნანახით და განცდილით აშკარად კმაყოფილი ჩანდა ქვეყნის პრეზიდენტი და როცა მას პარკის სიმბოლური გასაღები გადასცეს, კიდევ ერთხელ შეაქო მხარის ადმინისტრაცია და სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ ქარელი ქვეყნისთვის გაწეული ნაყოფიერი და ერთგული მუშაობისთვის.

იმავე დღეს მიხეილ სააკაშვილმა და მისმა თანმხლებმა პირებმა გ. ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრში ნახეს იაპონელი დრამატურგის ჯუნჯი კინოსიტას რომანტიული ზღაპარი „წეროს ფრთები“.

სპექტაკლში, რომელმაც წარმატებით ჩაიარა, მთავარი როლები შეასრულეს თეატრის ახალგაზრდა მსახიობებმა გვანცა დადიანიძემ და ირაკლი გოგოლაძემ.

საღამოს საქართველოს პრეზიდენტი თბილისს დაბრუნდა.

**გურამ ვაშაკიძე,**
**„სრ“ საკ. კორ.**





ტენდერი

# „გალა“ თუ „სპეცმონტაჟ ზეტი?“

(პირველი გვერდიდან)

„სპეცმონტაჟი“ გვპირდება, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი ნორმალური ექსპლუატაციის შემთხვევაში დეფექტებს ათი წლის განმავლობაში არ გამოავლენს. „გალა“ კი, თუ სწორად მომესმა, გარანტიად მხოლოდ ორ წელს ასახელებს.

პრეტენდენტების აზრით, დანადგარების შეკვეთა-დამზადება, ჩამოტანა (განბაჟების ჩათვლით) მხოლოდ წინასწარი გადახდის პირობებშია შესაძლებელი. ამიტომაც სამუშაოების შესასრულებლად ისინი ავანსის სახით წინასწარ გარკვეულ თანხას ითხოვენ „სპეცმონტაჟ ზეტი“ – 150 000 ლარს, „გალა“ სახელშეკრულებო ფასის 60 პროცენტს, ანუ 268 548 ლარს.

მკითხველი რომ სხვა ციფრებით არ გადავტვირთოთ, მოკლედ ვიტყვი, რომ ორივე პრეტენდენტმა დეტალურად წარმოადგინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველა საჭირო „ჭანჭიკის“ ფასი, გამძლეობა, „წარმოშობა“. ვალდებულებას იღებენ, რომ მათ მიერ შესრულებული სამუშაო იქნება უნაკლო და უზადო. კომისია ორივე მათგანის მონაცემებს კიდევ ერთხელ შეაჯერებს. გამარჯვებული უახლოეს დღეებში გამოვლინდება.

იმდენად, რამდენადაც არ სახელდება თანხა, თუ რამდენი გამოყო ბიუჯეტმა ამ სამუშაოების შესასრულებლად, უნდა ვივარაუდოთ, რომ გაიმარჯვებს ის, ვინც ამ საქმეს თავს შედარებით იაფად გაართმევს. ანუ, იაფად, სწრაფად და ხარისხიანად. ოღონდ, არა ისე, როგორც ეს ამ ლოზუნგის ზეობისას – საბჭოთა ეპოქაში ხდებოდა.

**მზია გელენავა.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# შეხვედრა „გაუსვლელი დროის გმირთან“

„ზერკალო ნედელი“ (კიევი),
25 სექტემბერი,
ალა ერიომენკო.

ЗЕРКАЛО НЕДЕЛИ

(პირველი გვერდიდან)

ერთი, სიტყვით, გრიგორი ლუჩანსკი, ისევე როგორც პირველი თაობის მრავალი ბიზნესმენი, თავის საქმეში მრავალ დაბრკოლებას აწყდებოდა, მაგრამ უკან მაინც არ იხევდა, – აღნიშნავს უკრაინელი ჟურნალისტი ალა ერიომენკო ინტერვიუს შესავალში.

საინტერესოა, რომ ვრცელ ინტერვიუში გრიგორი ლუჩანსკი, სხვა საკითხებთან ერთად, საუბრობს იური ლუჟკოვთან მეგობრობაზე, საქართველოზე – აჭარის შესახებ, თავის თვალსაზრისს გამოთქვამს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზეც და ასე შემდეგ.

გთავაზობთ ფრაგმენტს ცნობილი ბიზნესმენის ინტერვიუდან:

**კორესპონდენტი:** მოგვიყევით, თუ შეიძლება, იური ლუჟკოვთან თქვენი ურთიერთობის შესახებ. მე ბევრი გამიგია თქვენი მჭიდრო მეგობრობის თაობაზე, თუმცა, როგორც ამბობენ, ეს მეგობრობა არცთუ მთლად უანგაროა...

**გრიგორი ლუჩანსკი:** „არცთუ მთლად უანგაროა“ – ეს როგორ გავიგო? რა, მე ქრთამს ვაძლევ თუ...

**კორესპონდენტი:** ვთქვათ, თქვენ მას ჰონორარებს ურიცხავთ, მის შვილს სამსახური მიეცით...

**გრიგორი ლუჩანსკი:** ეს კიდევ ერთი ლეგენდაა... მე მოსკოვში არავითარი ბიზნესი არ მაქვს იმის გარდა, რომ მომაკვდავ „ზილ“-ის ქარხანას ვმართავ, რათა ეს საწარმო ვალების ორმოდან ამოვათრიო, თუმცა ქარხანა მე არ მეკუთვნის. ამიტომაც საუბარი, რომ მე თითქოს ლუჟკოვს რაღაც ქრთამებს ვაძლევ, აბსურდია.



არ არსებობს ისეთი ბიზნესი, რომელიც ლუჟკოვზე ან ჩემზე იქნება დამოკიდებული. მე მას ჯერ კიდევ „მოსაგროპრომში“ მუშაობის პერიოდიდან ვიცნობ... ჩემი ურთიერთობა მოსკოვის მერთან იმაზეა დაფუძნებული, რომ მე რუსეთის დედაქალაქს სასურსათო კრიზისიდან გამოსვლაში დავეხმარე – 1992 წელს იური ლუჟკოვს პატიოსან სიტყვაზე ვენდე და მოსკოვში რამდენიმე მილიონის საკვები პროდუქტები გავგზავნე. რაც შეეხება იგავებს მისი შვილის თაობაზე, იგი ფირმა „ინტეკ“-ში მუშაობს. ჩვენ გვქონდა იგივე სახელწოდების კომპანია, მაგრამ ის დიდი ხანია დავხურეთ. ალბათ, ვილაცა ინტერნეტში წააწყდა ამ დასახელებას და „შორსმიმავალი“ დასკვნა გააკეთა, რომ ლუჟკოვის ვაჟი თითქოსდა ჩემთან მუშაობს.

**კორესპონდენტი:** რატომ იყავით ჩასული აჭარაში იური ლუჟკოვთან ერთად იმ დროს, როცა მიხეილ სააკაშვილმა ავტონომიას ბლოკადა მოუწყო?

**გრიგორი ლუჩანსკი:** მე და ლუჟკოვი ასლან აბაშიძესთან ვმეგობრობთ, ჩვენი ვიზიტის მიზანი კი სისხლისღვრის თავიდან აცილება იყო. ქართველებმა ერთმანეთს არ უნდა უმტრონ... მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მიხეილ სააკაშვილი ახალი ტალღის პოლიტიკოსია, მაგრამ იმავდროულად აბაშიძეც ბრწყინვალე პოლიტიკოსად მიმაჩნია – მან 13 წლის განმავლობაში აჭარაში სტაბილურობა შეინარჩუნა, მაშინ როცა აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში სისხლი იღვრებოდა. ამასთან, მე ვთვლი, რომ მისი დრო უკვე წავიდა – ეს ობიექტური რეალობაა. ჩვენ, მე და ლუჟკოვი, სააკაშვილსა და აბაშიძეს ვესაუბრეთ და შეიარაღებული კონფლიქტი თავიდან ავიცილეთ.

**კორესპონდენტი:** ამბობენ, რომ თქვენ აჭარაში საკუთარი ქონების გადარჩენას ცდილობდით... იქნებ გვითხრათ, რა საწარმოების აქციებს ფლობთ იქ?

**გრიგორი ლუჩანსკი:** აქციები მხოლოდ იმ პროექტებშია, რასაც ვაფინანსებთ.. ჩვენი კომპანია აჭარაში საპორტო ნაგებობებსა და ქარხნებს აშენებდა, მე თვითონ არც ერთი დოლარის საპრივატიზაციო აქცია არა მაქვს.

ინფორმაცია

გაზმომარაგება

**საჭიროებისას სხვა წყაროც გვექნება**

**ირანიდან საქართველოს გაზმომარაგების ალტერნატიული წყაროს უზრუნველსაყოფად, საგურამოდან აზერბაიჯანის საზღვრამდე გამავალი გაზსადენის რეაბილიტაცია დაიწყო, რისთვისაც ბიუჯეტში 2 მილიონი ლარია გათვალისწინებული.**

**მაგისტრალური გაზსადენის საიმედოობის გაზრდის მიზნით, გადაუდებელ სამუშაოებს შპს „ვექტორი“ განახორციელებს. ბიუჯეტიდან საჭირო თანხას „ვექტორი“ ორ-სამ დღეში მიიღებს.**

**სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი გახდება ირანიდან ბუნებრივი აირის იმპორტი. ექსპერტთა აზრით, საქართველოში გაზის იმპორტის დივერსიფიკაცია და ალტერნატიული წყაროს არსებობა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების აუცილებელი პირობაა.**

**მაგისტრალური გაზსადენის აღდგენის და ირანიდან ბუნებრივი აირის შესაძლო მიღების საკითხი ირანში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის დროს გადაწყდა.**

შემწეობები

**უმუშევრებსაც და სტუდენტებსაც...**

**ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა მიმდინარე წლის „უმუშევართა სოციალური დაცვის, დასაქმების ხელშეწყობის, ჯანმრთელობის დაცვისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციის“ პრობლემების შესრულების შესახებ ბრძანებულება გამოსცა.**

**ბრძანებულების თანახმად, წელს გათვალისწინებულია შემწეობებისა და სტიპენდიების 20 ლარით გაზრდა, უმუშევრებისთვის პროფესიული მომზადება-გადამზადების პერიოდში სტიპენდიების სახით ფინანსური დახმარება.**

**ყოველთვიურად შემწეობებსა და სტიპენდიებს 3500-მდე უმუშევარი და სტუდენტი მიიღებს, რაც თანხობრივად მთლიანი მოცულობით 450.000 ლარი იქნება.**

**წელს ასევე იგეგმება „უმუშევართა დროებითი დასაქმების პროგრამის“ განხორციელება, რომლის ფარგლებში განსაზღვრულია დაბალკონკურენტუნარიანი შრომითი რესურსების დროებით დასაქმება, სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარება-რეაბილიტაცია. ასევე ქალაქ ბორჯომის სოციალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.**

**აღნიშნული პროგრამების განხორციელებაზე პასუხისმგებლობას ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი და დასაქმების სახელმწიფო სამსახური იღებს.**

**ინტერ-პრესი.**

# ქვეყანამ, რომელსაც წელში გამართვა სურს, უნდა იცოდეს გმირების დაფასება

(პირველი გვერდიდან)

ერთ-ერთი ასეთი ძალიან მნიშვნელოვანი გმირი იყო ჟიული შარტავა. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჟიული შარტავას მინიჭებოდა საქართველოს ეროვნული გმირის წოდება და ორდენი. განსაკუთრებული ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, – თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, – რომ ეს იყო პირველი ასეთი გადაწყვეტილება ეროვნულ გმირად გამოცხადების შესახებ.

ჟიული შარტავას გმირობა, – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა, – არ იყო ჩვეულებრივი გმირობა. მან გაცნო- [illegible] სამხედრო შენაერთებმა დატოვეს ქალაქი, ჟიული შარტავამ, – თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, – რაკი ვერაფრით დაარწმუნა პირადი დაცვის წევრები, რომ თავადაც გასულიყვნენ ქალაქიდან, მათ ისე მოაჩვენა თავი, თითქოს დაჰყვა დაცვის დაჟინებულ მოთხოვნას და აპირებდა სოხუმის დატოვებას. ხოლო როდესაც ამის შემხედვარე დაცვის წევრები დაიძრნენ ადგილიდან, ჟიული შარტავა კვლავ შებრუნდა მთავრობის სასახლეში, სადაც, თავადაც კარგად უწყოდა, უცილობელი სიკვდილი ელოდა.

– ეს, – აღნიშნა ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა, – იყო გაცნობიერებული თავგანწირვა საკუთარი სამშობლოსთვის. მან საკუთარი სიცოცხლის და თავისი სიკვდილის ფასად დაგვანახა, რისთვის უნდა ვიბრძოლოთ მომავალში და რის დასაბრუნებლად უნდა წავიდეთ აფხაზეთში.



აფხაზეთი, ტკივილი ჩვენი

# დამარცხება, რომელიც გამარჯვებისთვის გვაცოცხლებს!

(პირველი გვერდიდან)

ქუთაისში სოხუმის დაცემის დღე აფხაზეთიდან დევნილებმა ომში დაღუპულთა მემორიალთან აღნიშნეს, სადაც მათი სულების მოსახსენიებლად სანთლები დაანთეს.

გუშინვე მემორიალთან მიტინგი გაიმართა, რომელზეც მიღებული მიმართვა ქუთაისში მცხოვრებმა დევნილებმა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს გაუგზავნეს.

– ეს ტრაგედია, რომელიც დღემდე გრძელდება, რუსეთის რეაქციული ძალების პროვოცირებულია, – ნათქვამია მიმართვაში.

სოხუმის დაცემასთან დაკავშირებით ქუთაისში გამართულ აქციას ადგილობრივი მთავრობა დაესწრო.

* * *

სოხუმის დაცემის მე-11 წლისთავთან დაკავშირებით პრეზიდენტის დედამ – გიული ალასანიამ და არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ „არასამთავრობოები აფხაზეთისათვის“, „GMi“ ჯგუფის მხარდაჭერით, აფხაზეთში დაღუპულ მეომართა შვილებს ბოულინგ-ცენტრში უმასპინძლეს.

აქციის ფარგლებში, 50-მდე ბავშვმა რამდენიმე საათის განმავლობაში ბოულინგი უფასოდ ითამაშა. მათ აქციის ორგანიზატორები და ბოულინგ-ცენტრის ხელმძღვანელობა ტკბილეულით და ცივი სასმელებით გაუმასპინძლდნენ.

პრეზიდენტის დედამ მოგვიანებით ბავშვებს საჩუქრების ნაკრები გადასცა, რომელშიც ვიტამინები, სალეჭი რეზინები და კანფეტები შედის. „შევეცდები მსგავსი ხასიათის აქციები უფრო ხშირად გავმართო, რათა ბავშვებს მეტი სიხარული და ბედნიერება მივანიჭო და, რაც მთავარია, გავულამაზო ისედაც დაჩაგრული ბავშვობა“ – განაცხადა გიული ალასანიამ.

აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორის, პედიატრიის სოციალური დაცვის ფონდის ხელმძღვანელის გიორგი ჩახუნაშვილის განცხადებით, მათი ფონდი აფხაზეთიდან დევნილი ბავშვებისთვის ყოველ შაბათს უფასო კონსულტაციებს მართავს, რაც მომავალშიც გაგრძელდება.





**ინტერ-პრესი.**
**ჯემალ კასრაძის ფოტო.**

# ერის ერთობისთვის კრემლს ძალიან სჭირდება ხელმისაწვდომი მტერი

„ნოვაია გაზეტა“
2004 წლის 27 სექტემბერი
პაველ ფელგენგაუერი,

НОВАЯ ГАЗЕТА

**2001 წელს ტერორისტების მიერ ამერიკისთვის მიყენებული დარტყმის შემდეგ მოქალაქეები აღშფოთებულები, შეშინებულები იყვნენ და დაუყოვნებლივ მოითხოვდნენ მტერზე დარტყმების განხორციელებას, რათა შიში და უსასოო რისხვა ბრძოლის ენერგიად და საბოლოო გამარჯვების რწმენად გადაედნოთ.**

მანამდე, ორი წლით ადრე, მსგავსი სიტუაცია იყო რუსეთშიც. გაჭირვებით და საგრძნობი დანაკარგებით მოხერხდა დაღესტანში შამილ ბასაევის ბოევიკების შეჭრის მოგერიება. ამას მოჰყვა სახლების უცნაური აფეთქებების სერია, რომლის დროსაც ასობით სრულიად უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. ქვეყანა შეძრწუნებული და განრისხებული იყო. თავს უსაფრთხოდ ვერავინ გრძნობდა, მაგრამ პრემიერ პუტინს ხელთ მკაფიო გეგმა ჰქონდა: იერიში ჩეჩნეთზე ტერორისტების ბუნაგის გასანადგურებლად.

ჩეჩნეთში შეჭრა დიდხანს მზადდებოდა. სტეპაშინის თქმით, რომელიც ოპერაციას ჯერ შსს-ს ხელმძღვანელის, 99 წლის მაისიდან კი პრემიერის რანგში ამზადებდა, ჩეჩნეთში შეჭრა ტერაქტებისა და დაღესტანში შეჭრისგან დამოუკიდებლად დაიწყებოდა.

თუმცა, არსებობდა 97-ში პირადად პრეზიდენტ ელცინისა და ასლან მასხადოვის მიერ ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც სამუდამოდ კრძალავდა ჩეჩნეთ-რუსეთის ურთიერთობების გასარკვევად ძალის გამოყენებას. მაგრამ ხელისუფლებამ ისე მოგვაჩვენა თავი, თითქოს ხელშეკრულება არ არსებობდეს.

99-ში მტერი აშკარა იყო და ცხვირწინ გვყავდა, ასე რომ, არცთუ მთლად საბრძოლო მზადყოფნაში მყოფმა და მობილურმა, მოძველებული მძიმე იარაღით აღჭურვილმა ჩვენმა სამხედროებმა შეძლეს აუჩქარებლად მომზადებულიყვნენ, დაძრულიყვნენ და გაემარჯვნათ. ორ თვეში მათ ბრძოლით განვლეს 40 კმ. საზღვრიდან გროზნომდე, ორი თვე ალყაში ჰყავდათ ქალაქი, კიდევ ორი თვე გაქცეულ გარნიზონს სდევდნენ და დატოვებულ დასახლებულ პუნქტებს იკავებდნენ. იბრძოდნენ დიდხანს, სისხლისღვრით და განსაკუთრებით სამოქალაქო მოსახლეობას მოხვდა. თუმცა წინსვლა და გამარჯვებებიც იყო, მაგალითად, კომსომოლსკოეში, სადაც 2000 წელს 800-ზე მეტი ბოევიკი მოკლეს. მაშინ საზოგადოებრიობა კრემლისა და პუტინის გარშემო გაერთიანდა.

2001 წელს ჯორჯ ბუშს მოწინააღმდეგის მოსაძებნად დიდი ძალა დაადგა, მაგრამ ამერიკელებს ჩვენზე ბევრად დიდი შესაძლებლობები აქვთ – ისინი მოთელვის გარეშე დაიძრნენ ავღანეთისკენ – სამყაროს მეორე ბოლოსკენ ლადენისა და თალიბების ჭკუის სასწავლებლად და ავღანეთის მთებში ნამყოფი ჩვენი ექსპერტებისავე პროგნოზების მიუხედავად, ერთ თვეში შეძლეს თალიბთა დამხობა და „ალ-ქაიდას“ რაზმების მიმოფანტვა.

რა თქმა უნდა, თალიბებისა და „ალ-ქაიდას“ ხელმძღვანელებმა თავს უშველეს, ავღანეთში დროდადრო გრძელდება შეტაკებები. ავღანეთში გამარჯვების ექომ ისეთი პატრიოტული აღტკინება და ეროვნული გაერთიანება გამოიწვია აშშ-ში, რომ ამის შემდეგ ერაყში შეჭრასაც მოწონებით შეხვდნენ. დღეს, მიუხედავად იმისა, რომ ერაყში დანაკარგები გრძელდება, ეჭვი არ არის, რომ ის პირველდაწყებითი ეროვნული აღტკინება ბუშს ნოემბერში ხელახლა არჩევისთვის ეყოფა.

ჩვენ კი 99 წლის შემოდგომის ნიმუშის ერთიანობაზე ოცნებაღა დაგვრჩენია. ანუ ბესლანის შემდეგ პრეზიდენტმა გამოაცხადა და სახელმწიფო ტელეარხებიც ყველანაირად ცდილობენ, მაგრამ არაფერი გამოდის. მოქალაქეთა უმრავლესობა მხარს არ უჭერს პუტინის გადაწყვეტილებას რეგიონების ხელმძღვანელების ცენტრიდან დანიშვნის თაობაზე, საზოგადოებაში მწიფდება განხეთქილება, უკმაყოფილება ხელისუფლებით, ურცხვი ცენზურით ტელევიზიაში, აღარც პრეზიდენტი გამოიყურება ისე კარგად, როგორც ადრე.

რა თქმა უნდა, ხელისუფლება უქმად არ არის. მიმდინარეობს ანტიტერორისტული ბლოკის გაძლიერება უშიშროების ფედერალური სამსახურის შიგნით. გაუხმაურებლად იქნა გამოყოფილი ასობით მილიონი დოლარი მასხადოვისა და ბასაევის უახლოესი გარემოცვის მოსასყიდად ოფიციალურად კი მათი თავებისთვის დაწესებულია 10-მილიონიანი ჯილდო.



ექსტრემისტებთან ბრძოლისთვის გამოიყენება ისრაელის გამოცდილება. საგარეო საქმეთა სამინისტრო სხვა უწყებებთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთას ერთად გულმოდგინედ ასრულებს დავალებას უცხოეთში მათი ნეგატიური ხატის შესაქმნელად,

იხ. მე-5 გვ.

ფოტოობიექტი

# ნიუ-იორკი თვალის ერთი გადავლებით

## ქართული ფოტორეპორტაჟი ამერიკული მეგაპოლისიდან




















*როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, საქართველოს დელეგაცია, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით იმყოფებოდა ნიუ-იორკში, სადაც გაეროს მორიგი სესიის მუშაობაში მონაწილეობდა. ამ 40-სართულიან შენობაში სიტყვით გამოსულმა პატარა საქართველოს პრეზიდენტმა თავისი სამშობლოს დიდ პრობლემებზე კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება და, სხვა საკითხებთან ერთად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების სამეტაპიან გეგმაზეც ისაუბრა.*

*ამ მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ უკვე იუწყებოდა ჩვენი გაზეთი. გამოვაქვეყნეთ როგორც ტექსტობრივი, ისე ფოტომასალაც. დღეს კი ადგილს ვუთმობთ ცნობილ ფოტოხელოვანს ბადრი ვადაჭკორიას, რომელიც თავისი ნამუშევრით ოდნავ მაინც გვაგრძნობინებს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მეგაპოლისის – ნიუ-იორკის გრანდიოზულობას, ყოველდღიურობის რიტმსა და ხიბლს...*

*ამერიკა შეიძლება გიყვარდეს, მოგწონდეს, ან არა, ან კიდევ გაორებული გრძნობით შესცქეროდე ამ ზესახელმწიფოს, რომელიც მსოფლიოს ახვევს თავის ნებას და როგორც ჩანს არცთუ უსაფუძვლოდ...*

*მაგრამ ნიუ-იორკი სულ სხვაა... მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი, უდიდესი საზღვაო და საჰაერო პორტი... ჩვენი სასტუმროს ოცდამეთოთხმეტე სართულიდან გავცქერი ჰორიზონტზე წეროებივით დამწკრივებულ, განათებულ წერტილებს, რომლებიც მოახლოებისთანავე უზარმაზარ ამერიკულ „ბოინგებად“ თუ ევროპულ „აერობუსებად“ იქცევიან. დამაინტერესა, თუ რა ინტერვალით ეშვებიან ეს გიგანტები დედამიწაზე და აღმოჩნდა, რომ კენედის სახელობის აეროდრომზე ყოველ 45-60 წამში მსოფლიოს უამრავი ქვეყნის ავიაკომპანიის თვითმფრინავი ჯდება, წარმომიდგენია, რა დღეში იქნებიან ავიადისპეტჩერები, რომელთა პროფესიონალიზმზე არის დამოკიდებული ასობით მგზავრის სიცოცხლე...*

*ამერიკა, როგორც ვთქვი, მართლაც შეიძლება მოგწონდეს ან არა, მაგრამ ნიუ-იორკი სულ სხვაა, იგი გულგრილს არავის ტოვებს, განსაკუთრებით ახალ ჩამოსულებს, რომელთა გამოცნობა მილიონობით ნიუ-იორკელში ძალიან ადვილია: ისინი პირდაღებული გასცქერიან უამრავსართულიან მინისა და ფოლადისგან შექმნილ საინჟინრო საოცრებებს, რომელთა უმეტესობის თავზე ან ფასადზე ამაყად ფრიალებს ამერიკის შეერთებული შტატების დროშა ან დროშები, ამ „პირდაღებულთა“ შორის მეც გახლავართ. მართალია, პირველად არა ვარ ამ მეგაპოლისში, მაგრამ მეც ვერაფრით ვფარავ ჩემს აღტაცებას, და ემოციებს საკმაოდ ხმამაღლა, რატომღაც ყველაზე გავრცელებული რუსული ჟარგონით გამოვხატავ... ჩემს თავს ვიჭერ, რომ ნიუ-იორკთან ყველა შეხვედრისას რატომღაც ფრენკ სინატრასა და ლაიზა მინელის სიმღერა ამეკვიატება და განშორებამდე ამ ქალაქის ქუჩებში მოხეტიალეს თან დამყვება ხოლმე...*

*ჩემი ციფრული ფოტოკამერა კი, ასევე ტექნიკის საოცრება, განუწყვეტლივ შთანთქავს მილიონობით იმ „მეგაპიქსელს“, რომელთა მცირე ნაწილი გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე ფოტორეპორტაჟად იქცევა...*

**ბადრი ვადაჭკორია.**
ავტორის ფოტო.
ნიუ-იორკი-თბილისი.
























ინფორმაცია

აქცია

### ამ უმოსავლობისას, გლეხები მოწეულ ჭირნახულს ვერ აბარებდნენ?!

თბილისი-თელავის საავტომობილო მაგისტრალი გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანთან დილიდან პარალიზებული იყო. სამი სოფლის – ვაზისუბნის, ველისციხის და შაშიანის მოსახლეობამ ყურძნის ჩაბარების პრობლემის გამო გზა დილიდან გადაკეტა.

როგორც ისინი აცხადებდნენ, დაკრეფილი ყურძნით სავსე მანქანები ღვინის ქარხნების წინ უკვე რამდენიმე დღეა დგანან, თუმცა მოსავლის ჩაბარებას ვერ ახერხებენ, რაც ყურძნის ხარისხსა და წონაზე უარყოფითად ისახება.

მოსახლეობასთან გურჯაანის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი აკაკი სიხარულიძე მივიდა, თუმცა მან ხალხი აქციის შეწყვეტის აუცილებლობაში ვერ დაარწმუნა.

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ხელმძღვანელობამ კატეგორიულად გააფრთხილა ღვინის ქარხნების მეპატრონეები, რათა ყურძნის შესყიდვისას შეფერხება არ ყოფილიყო, მოწეული მოსავლის რეალიზაცია და მიმღები ქარხნის მოძებნა მოსახლეობისთვის კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

სამინისტრო

### კომისია – ტერორიზმის წინააღმდეგ

საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, ტერორიზმის და მისი დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთა შემსწავლელი კომისია შეიქმნება.

კომისიის მისი წევრები იქნებიან – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო, საფინანსო და სამეწარმეო სამართლებრივი ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი კახაბერ გურასაშვილი (იგი ამავდროულად კომისიის თავმჯდომარე იქნება), ამავე სამინისტროს სამართალშემოქმედების დეპარტამენტის საჯარო სამართლის სამმართველოს უფროსი დავით კაშია და საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობის დეპარტამენტის სამმართველოს მრჩეველი თემურ მიხანაშვილი.

კომისია ტერორიზმთან და მის დაფინანსებასთან ბრძოლისთვის სრულყოფილი სამართლებრივი ბაზის ჩამოსაყალიბებლად შესაბამის პროექტებს მოამზადებს. გარდა ამისა, კომისია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობის გზით, კონკრეტულ წინადადებებს შეიმუშავებს.

იგი მუშაობისას სხვადასხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთანაც ითანამშრომლებს.

აღმოჩენა

### სამარხი მთლიანად ოქროთია მოფენილი

ვანის ნაქალაქარზე არქეოლოგებმა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის პირველი ნახევრით დათარიღებული სამარხი აღმოაჩინეს, რომელიც ზედა ტერასაზე, კლდეში იყო გამოკვეთილი.

პირველადი დათვალიერებით, სამარხში დაკრძალულია ერთი დიდგვაროვანი და ორი მოსამსახურე. სამარხი მთლიანად ოქროთია მოფენილი.

როგორც „ინტერ-პრესს“ ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევითი ცენტრის ექსპედიციის ხელმძღვანელმა დარეჯან კაჭარავამ განუცხადა, ახლად აღმოჩენილი სამარხი ყველაზე მნიშვნელოვანია 1969 წლის აღმოჩენის შემდეგ.

სამარხში ნაპოვნია შველისა და ირმის უნიკალური ფიგურები, რომელთა ანალოგი აქამდე საქართველოში არ დაფიქსირებულა.

გაუქმება

### „საქნახშირის“ ლიკვიდაცია დაიწყო

საქართველოს მთავრობამ „საქნახშირის“ ლიკვიდაცია დაიწყო. „საქნახშირი“ ენერგეტიკის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება იყო. მისი ლიკვიდაციის შემდეგ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამის უფლებამოსილებას ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური განახორციელებს.

მთავრობის დადგენილების თანახმად, „საქნახშირის“ ბალანსზე არსებული ქონება ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ენერგეტიკის სამინისტროს უნდა გადასცეს.

რაც შეეხება 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით „საქნახშირისთვის“ გათვალისწინებულ 47,1 ათას ლარს, ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია ბიუჯეტში ცვლილებების პროექტი მოამზადოს და „საქნახშირისთვის“ გათვალისწინებული თანხები ენერგეტიკის სამინისტროს აპარატის ბიუჯეტს დაამატოს.

ინტერ-პრესი.

⊙ კონფლიქტი

# ამჯერად ფილარმონიის სცენაზეა... დავა

**რედაქციამ მიიღო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დამდგმელი რეჟისორის ლანა საყვარელიძის წერილი, რომელშიც იგი აკრიტიკებს ფილარმონიის გენერალური დირექტორის მერაბ დონაძის საქმიანობას. ვხელმძღვანელობთ რა თავისუფალი პრესის პრინციპებით, ჩვენ ვბეჭდავთ ლანა საყვარელიძის წერილს, ბოლოს კი სიტყვას ვაძლევთ მერაბ დონაძეს.**

## რეჟისორი უჩივის

**დავით აღმაშენებლის გამზირს თუ გაუყვებით, №136-ში, უპირველესად, თვალში გეცემათ უგემოვნოდ გაფორმებული კაფე, ხოლო კარგად დაკვირვებისას შენიშნავთ, რომ გასართობი დაწესებულება თითქმის ჩამონგრეულ შენობაზეა მიშენებული.**

**ბევრმა არც კი იცის, რომ ეს ნაგებობა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაა, რომლის დირექტორიც მერაბ დონაძე გახლავთ. თუმცა, თუ ფილარმონიის ადგილმდებარეობას იკითხავთ, ნებისმიერი გამვლელი ვერაზე მდებარე საკონცერტო დარბაზს მიგასწავლით.**

**ეს ალბათ ლოგიკურიცაა, თუ გავითვალისწინებთ იმას, როგორ ცდილობს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ხელმძღვანელობა, ყველამ დაივიწყოს ამ შენობის არსებობაც კი. ეს სიტყვები გადაჭარბებულად ნამდვილად არ მოგეჩვენებათ, თუ დაინტერესდებით და აღნიშნულ მისამართს მიაკითხავთ. აბრა, რომელიც გამცნობთ, რომ ნამდვილად თქვენთვის საყვარელ კულტურულ დაწესებულებასთან იმყოფებით, ფილარმონიის შენობის მსგავსად, ცოტა არ იყოს ძნელი შესამჩნევია, სამაგიეროდ, მას, ვისაც ესაჭიროება ნოტარიუსი, თარგმანი, ფირმების რეგისტრაცია, ქსეროქსი, ნებისმიერი სახის ფოტო, ავიაბილეთები, სანოტარო ბიურო და ა. შ. ფერადი აბრები და სარეკლამო განცხადებები, ეჭვმიუტანლად მიუთითებენ, რომ სწორედ საჭირო ადგილას მოხვდა.**

წლების განმავლობაში ძველ ფილარმონიაში მრავალი შემოქმედი გამოზრდილა და დაფრთიანებულა, აქ იბადებოდნენ ტალანტები, რომლებიც ამ კედლებიდან გადიოდნენ ფართო ასპარეზზე. საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიოდა ახალგაზრდობა, ჩქეფდა შემოქმედებითი ცხოვრება.

1993 წლიდან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიას სათავეში ჩაუდგა მ. დონაძე და თავის თავზე აიღო ის უზარმაზარი პასუხისმგებლობა, რომელსაც მომავალი თაობის კულტურული აღზრდა, მათი ნიჭის გამოვლენა და განვითარება აკისრებდა.

ამის სანაცვლოდ, მ. დონაძის დირექტორობამ ის შედეგი გამოიღო, რომ განადგურდა არა მხოლოდ შენობა, არამედ ქართული ფილარმონიული კულტურაც. თითქმის თერთმეტი წელია, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ დაკარგა თავისი ფუნქციები. დღევანდელი ფილარმონიული დონე კი მხოლოდ საზოგადოების აღშფოთებას და გულისტკივილს იწვევს.

რას აკეთებს ფილარმონია ამის საპასუხოდ? აბსოლუტურად არაფერს! ახალგაზრდობა არ მოდის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში, რადგან ნიჭს პატივს არ სცემენ, არ ზრუნავენ მასზე, არ აფასებენ აქ არც ღვაწლმოსილ შემოქმედებს. გათელილი, დამცირებული, უთავშესაფროდ დარჩენილი ფილარმონიული ხელოვნება ამაოდ ითხოვს შველას.

სამსახურში მისულ თანამშრომლებს უკვე რამდენი წელია თითქმის მთლიანად გაქირავებულ საკუთარ შენობაში ლტოლვილივით შეფარებული ფილარმონია, ჩაბნელებული დერეფნები, საღებავგადაცლილი კედლები, ჩალეწილი, უფარდო ფანჯრები, ჭიისაგან გამოხრული იატაკი და დახუთულ, მტვრიან ჰაერში შედედებული სიჩუმე გვხვდება. სიჩუმე, რომელიც უპასუხოდ ტოვებს ჩემს ყველა შეკითხვას: სად მიდის ამდენი გაქირავებული ოთახიდან, ავტოსახელოსნოებად გადაკეთებული ფარეხებიდან, გაყიდული მანქანებიდან შემოსული თანხები? ანდა, რა საჭიროა შენობის გაქირავება, თუ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიას კვლავაც არ ექნება იმის საშუალება, რომ გამოცვალოს იატაკი, რომელიც ისე ჩანგრეულა, რომ II სართულიდან I სართულიც კი მოჩანს. რატომ შეკეტილა კაბინეტში მ. დონაძე და მისი გარემოცვა და ყურადღებას არ აქცევს იმას, რომ ოთახებში, სადაც შემოქმედებითი მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს, გულისგამაწვრილებელ სიჩუმეს მხოლოდ თაგვების ფხაჭუნი და ობობას ქსელში გაბმული მწერების ბზუილი არღვევს, დერეფნებში აღარ დაიარებიან ხელოვანი ადამიანები, იქ მხოლოდ სანოტარო ბიუროსა და სხვა ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში მიმსვლელთა ფეხის ხმა ისმის.

უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვები, დირექტორის გულარხეინობა არსებულ მდგომარეობაზე სერიოზულ ეჭვს ბადებს, რომ საბიუჯეტო და საშემოსავლო თანხები არამიზნობრივად იხარჯება და მას ფილარმონიის ერთპიროვნული მმართველი ითვისებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მ. დონაძე, რომელსაც აბარია ღირსება ქართული კულტურისა, საკუთარი ჯიბისთვის სწირავს მომავალი თაობის კეთილდღეობას.

მ. დონაძე რომ მიზანმიმართულად ანადგურებს ფილარმონიას, საკუთარი ინტერესების დაცვას გეგმაზომიერად ახორციელებს, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც შევიტყვე ფილარმონიის დირექტორის 2004 წლის 12 ივლისის ბრძანება, რომლის მიხედვითაც, თანამშრომლები ამავე თვის 1 რიცხვიდან უკვე გათავისუფლებული იყვნენ დაკავებული თანამდებობებიდან, რადგან საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია ითვლებოდა საჯარო იურიდიულ პირად, ამიტომ მათ უნდა დაედოთ შრომითი ხელშეკრულება 2004 წლის 31 დეკემბრამდე. აგრეთვე ივლისიდან შეუწყდათ ხელფასები. კანონი კანონია და, რა თქმა უნდა, ყველა უნდა დაემორჩილოს, მაგრამ კანონიერი იყო თუ არა ბრძანება, რომელიც ასე ხელაღებით ათავისუფლებდა სამსახურიდან ყველა თანამშრომელს?!

ეჭვის საბაბს ნამდვილად იძლეოდა ფილარმონიაში არსებული მდგომარეობა, ამიტომ საკითხის უკეთ გარკვევას შევეცადე. კულტურის სამინისტროს დახმარებით ნათელი გახდა, რომ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია საჯარო იურიდიულ პირად არ არის ჩამოყალიბებული. აქედან გამომდინარე, მ. დონაძის ბრძანება უკანონო იყო, მისი საქციელი კი „თაღლითობის" სახელს იმსახურებდა, რისი განსჯაც „საქართველოს ადმინისტრაციულ კოდექსს" მივანდოთ.

აღსანიშნავია, რომ მ. დონაძის დირექტორობის პერიოდში განიავდა უნიკალური საკრავების უმდიდრესი კოლექცია, ორკესტრ „რეროსთვის" შესყიდული „სელმერის" ფირმის ჩასაბერი ინსტრუმენტები, შენობასთან ერთად განადგურდა კულტურული მემკვიდრეობაც: დაიკარგა ფილარმონიის ბიბლიოთეკა და მუზეუმი, რეგულარულად იყინებოდა თანამშრომელთა რამდენიმე თვის ხელფასი. უხელფასობა რატომღაც ყოველთვის 1 ივლისს ემთხვეოდა, რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მ. დონაძის მიერ „შეჭმული" ბიუჯეტის შედეგი გახლდათ.

2002 წელს თანამშრომელთა 3 თვის ხელფასით მოხდა მთელი ფილარმონიის შენობაში (იგულისხმება გაქირავებული ოთახებიც) დახარჯული ელექტროენერგიის დავალიანების გადახდა.

ეს ყველაფერი არა მხოლოდ არაკომპეტენტურობა, არამედ დანაშაულებრივი ქმედებაცაა, რაც საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის არსებობას უქმნის საფრთხეს და ეჭვს ბადებს, რომ მ. დონაძე ან მის სახელს ამოფარებული რომელიმე [illegible] მემკვიდრეობის უკვალოდ წაშლას ნიშნავს.

მინდა აღვნიშნო, რომ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიას 1903 წელს ისეთმა უდიდესმა პატრიოტებმა და ქართული კულტურის მესვეურებმა ჩაუყარეს საფუძველი, როგორებიც იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, ს. მგალობლიშვილი, ვ. აბაშიძე, ი. წინამძღვრიშვილი, ნ. ცხვედაძე, ი. კარგარეთელი, დ. არაყიშვილი, ფ. ქორიძე, ი. სულხანიშვილი, ზ. ჩხიკვაძე, ვ. კარბელაშვილი, პ. მირიანაშვილი და სხვები. მათ ესმოდათ, თუ რა უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრებოდა ფილარმონიულ კულტურას და ხელოვნებას ქვეყნის აღმავლობის და განვითარების საქმეში. წლების განმავლობაში ზრუნავდნენ მასზე საზოგადო მოღვაწენი, დღეს კი მ. დონაძის „ძალისხმევისა" და „მონდომების" შედეგად, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია დაღუპვის პირასაა.

ჩვენი ტკივილი ქართველი ერის ტკივილია, განწირული ხელოვნების ძახილია, რომელიც შველას ითხოვს. შემწეობას ევედრება ყველას, ვისაც ჯერ კიდევ ხელეწიფება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ფეხზე წამოყენება და გადარჩენა, რათა ის ღირსეულად დაუდგეს გვერდში მსოფლიოში კარგად ცნობილ ლონდონის, ამსტერდამის, ვაშინგტონის თუ სხვა სახელმწიფო ფილარმონიებს, რომელთა შემოქმედებაც მაყურებელთა დიდ სიმპათიებს იმსახურებს.

მინდა, იმედი ვიქონიო, რომ კულტურის მინისტრი ბატონი გიორგი გაბაშვილი, რომელსაც წერილობით გავაცანი არსებული მდგომარეობა, უყურადღებოდ არ დატოვებს ფილარმონიის არსებობის საკითხს, კულტურის სამინისტრო გადახედავს მ. დონაძის კანდიდატურას დაკავებულ თანამდებობაზე, ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ დამნაშავენი დაისაჯონ, რათა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიამ კვლავ ღირსეულად ატაროს ის სახელი და დიდება, რომელიც ქართულმა კულტურამ უანდერძა.

**ლანა საყვარელიძე,**
**საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დამდგმელი რეჟისორი, „ღირსების ორდენის" კავალერი.**

## გენერალური დირექტორი ფარ-ხმალს არ ყრის

**როგორც ხედავთ, მძიმე ბრალდებებია და, ცხადია, უნდა მოვუსმინოთ მეორე მხარესაც. აი, რას უამბობს ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის გენერალური დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მერაბ დონაძე ლანა საყვარელიძის წერილის გაცნობის შემდეგ:**

საერთოდ არ მქონდა სურვილი, რომ მეპასუხა ქალბატონ ნ. ლანა საყვარელიძის ბრალდებებზე, რადგან მე მიცნობენ, როგორც კაცს, ჩვეულებრივ თბილისელს, რომელსაც სიკეთის, სიყვარულის მეტი ქვეყანაზე, სამეგობროსა და ახლობლებში, ჩემ სათაყვანებელ კოლექტივში, არაფერი გაუკეთებია.

მაგრამ ხომ არიან ისეთები, ვინც არ მიცნობს? ამიტომ, იძულებული ვარ, ქალბატონ ლანას ბრალდებებს პასუხი გავცე.

თავის წერილში იგი ბრძანებს, რომ მე გავანადგურე ი. ჭავჭავაძის დაარსებული სახელმწიფო ფილარმონია. არადა, შემონახული არქივი გვეუბნება, რომ მაშინ, როდესაც ქალბატონ ლანას მეუღლე დორიან კიტია სახელმწიფო ფილარმონიის თავკაცი ბრძანდებოდა, ილიასეული შენობიდან გადაიყვანეს გადაღმა მხარეს მდებარე სკოლის ავარიულ შენობაში, თანაც სახელმწიფო ფილარმონიას ჩამოერთვა მცირე საკონცერტო დარბაზი და იქ ამჟამად კინოკლუბი „ამირანია". მე იმ დროს ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში ვმოღვაწეობდი. ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო, ამაზეა ნათქვამი.

ავტოფარეხი განადგურდაო.

როდესაც ავტოფარეხიდან ძალით და მუქარით, იმ განუკითხაობის წლებში ტრანსპორტი გაუყვანიათ, არც მაშინ გახლდით დირექტორი, და არც მაშინ, როდესაც ჩვენს დიდ ხელოვანებს, მოღვაწეებს, მართლაც რომ, ძვირფასი ინსტრუმენტი ჩააბარეს კულტურის სამინისტროს ინიციატივით, აი, ვინ არიან ისინი: ლიანა ისაკაძე, ელდარ ისაკაძე, მარინა იაშვილი, ირინა იაშვილი, ნანა იაშვილი. ჩემი დირექტორობის წლებში კი, ნემსი რომ ნემსია, ისიც არ დაკარგულა, კბილებით შევინარჩუნე ყოველივე. როიალების წასაღებად (ეს კარგად იცის კოლექტივმა) მთელი ბატალიონი იყო მოსული, მაგრამ უკაცრავად!.. რამდენჯერ ჩატარდა სახელმწიფო ფილარმონიაში დოკუმენტური რევიზია, ინვენტარიზაცია, მათ შორის, წელსაც, მაგრამ არავითარი დარღვევა არ გვქონია.

ქალბატონი ლანა ბრძანებს, რომ ოთახები გვაქვს გაქირავებული...

დიახ, გვაქვს, მაგრამ ეს ყველაფერი რევიზიის აქტებში დაფიქსირდა, ყველაფერი გაფორმებულია ოფიციალურად და ასევე გაფორმებული გვაქვს შემოსული თანხების განკარგვაც.

მუზეუმი და ბიბლიოთეკა განადგურდაო...

ბიბლიოთეკა ადგილზეა და საკმაო მკითხველიცა ჰყავს, ხოლო, რაც შეეხება მუზეუმს, იგი მე არ ჩამიბარებია, ამაზე არსებობს სათანადო საბუთებიც.

ახლა, 2004 წლის 12 ივლისის ბრძანების შესახებ: პირადად გახლდით კულტურის სამინისტროში, სადაც კულტურის მინისტრმა, ბატონმა გიორგი გაბაშვილმა მიმიწვია. ჩვენ სიტყვიერად შევთანხმდით, რომ შემემცირებინა სუბსიდიები 70 პროცენტით. ამისათვის მე თანამშრომლები კი არ გამითავისუფლებია სამსახურიდან, გადავიყვანე ხელშეკრულებით და ყველა იმუშავებს თვითდაფინანსებაზე, თავისი შემოსავლების მიხედვით. მაგრამ, თუ კულტურის სამინისტროში საჯარო იურიდიულ პირად არა ვართ ჩამოყალიბებული, მით უმეტეს, რა ბრალს მდებენ სამსახურიდან გაგვათავისუფლაო?

რაც შეეხება ფილარმონიის შემოქმედებით კადრებს, დღესაც აქ მოღვაწეობენ ვაჟა აზარაშვილი, ქართლოს კასრაძე, ლადო ხელაშვილი, კაკო ვაშალომიძე, ცირა ქიტიაშვილი, ნანა დაუშვილი, მედუდუკეთა ანსამბლი „სოინარი", ვ. ი. ა. „რერო", სოსო ებრალიძე, თენგიზ უთმელიძე და სხვები. ჩავატარეთ უზარმაზარი ფესტივალები, ვარდების რევოლუციის შემდგომ. შემოქმედებითი კოლექტივების აღმავლობაა ფილარმონიაში, გვაქვს რეგიონებში ადმინისტრაციული და შემოქმედებითი მხარდაჭერა, ფესტივალი ორჯერ გაშუქდა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით, დიდი იმედით და განწყობით ვართ ახალი ხელისუფლების მიმართ, გვერდით ვუდგავართ კულტურის სამინისტროს ახალ ხელისუფლებას. თურმე, სირცხვილი ყოფილა, რომ ფესტივალს „წითელი ვარდის" სახელი დავარქვი, რომ ქორეოგრაფიული სასწავლებლის ყოფილ დირექტორს თამაზ ვაშაკიძეს მხარი არ დავუჭირე და გამართლებულად ჩავთვალე კულტურის მინისტრის მოადგილის ქალბატონ თ. ქვარიანის გადაწყვეტილება (თამაზ ვაშაკიძე მათი ოჯახის სიძეა). ნურავინ ცდილობს მაკადროს ის, რაც არ დამიმსახურებია, ამის დასტურია ჩემი კოლექტივის, სახელმწიფო ფილარმონიის ერთსულოვანი მხარდაჭერა.

### ⊙ გვირეკავენ, გვეკითხებიან

***ვმუშაობდი მანქანების მშენებლობაში. 25 წლის წინათ გავედი პენსიაში, მაგრამ რადგან ვმუშაობდი, პენსია არ მქონდა. შრომითი დამსახურებისთვის დაჯილდოებული ვარ ორდენებითა და მედლებით. დღეს მოქმედი კანონმდებლობით რა ოდენობით დამენიშნება პენსია და მეძლევა თუ არა შეღავათები ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადის დროს?***
***ალექსანდრე თამაშე.***

*ყველა სახის პენსიონერის პენსია (გარდა სამხედრო ომის ინვალიდებისა და მათთან გათანაბრებული პირების, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულების [illegible]) [illegible] 18 ლარი, [illegible] — 21 ლარი.*

*თქვენი კატეგორიის პენსიონერისთვის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადის გადახდის დროს რაიმე შეღავათი კანონით გათვალისწინებული არ არის.*

***ვარ II ჯგუფის ინვალიდი, სამხედრო ძალების ვეტერანი. მეკუთვნის თუ არა შეღავათი კომუნალური მომსახურების გადასახადებზე და რა ოდენობით?***
***ბაიოზ თუთბერიძე.***

*დედაქალაქში მცხოვრები სამხედრო ძალების ვეტერანები ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე მთლიანად თავისუფლდებიან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის, ხოლო 50 პროცენტით მოხმარებული სასმელი წყლის გადასახადისგან;*

*ბუნებრივი აირის უფასო მოხმარება განესაზღვრებათ 20 კუბ. მეტრის ოდენობით თვეში, ხოლო ოჯახში შეღავათის მქონე ორი ან მეტი პირის არსებობისას — 30 კუბ. მეტრის ოდენობით;*

*ტელეფონის სააბონენტო გადასახადზე ურეცლდებათ 50-პროცენტიანი შეღავათი.*

***ვარ რეპრესირებულის ოჯახიდან, — ბავშვობიდან II ჯგუფის ინვალიდი. პენსია დანიშნული მაქვს 14 ლარის ოდენობით, მაგრამ ვინაიდან ვმუშაობ, პენსია არ მეძლევა. მაქვს თუ არა პენსიისა და ხელფასის ერთად მიღების უფლება?***
***ნათელა ოქროშიძე.***

*მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ბავშვობიდან II ჯგუფის ინვალიდებს მუშაობის პერიოდში პენსიიდან ეძლევათ მხოლოდ 3 ლარი.*

*აქვე განვმარტავთ, რომ მუშაობის პერიოდში პენსიისა და ხელფასის სრულად მიღების უფლებით სარგებლობენ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული და შემდგომში რეაბილიტირებული პირები და მათი შრომისუუნარო ან საპენსიო ასაკს მიღწეული შვილები.*

*თუ თქვენ სასამართლოს მიერ ცნობილი ხართ რეპრესირებული პირის მემკვიდრედ და სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის რაიონულ განყოფილებაში წარდგენილი გაქვთ შესაბამისი საბუთები, პენსია გეკუთვნით თვეში 45 ლარის ოდენობით და მუშაობის პერიოდში იგი სრულად მიგეცემათ.*

**[illegible].**

⊙ ბრიფინგი

# ევროპა საქართველოს ავიაციით დაინტერესდა

**ამ დღეებში საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ გიორგი მჟავანაძემ და საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ტორბენ ჰოლციმ ჟურნალისტებისთვის ბრიფინგი გამართეს. საჰაერო-სატრანსპორტო თანამშრომლობის შესახებ ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის მოლაპარაკებათა პირველი ეტაპი დაიწყო.**

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის ინიციატივით 21-22 სექტემბერს საქართველოს ევროგაერთიანების წარმომადგენლობითი დელეგაცია ეწვია. დელეგაციას, რომელსაც დამკვირვებელთა ჯგუფი დიდი ბრიტანეთიდან, ავსტრიიდან და ჰოლანდიიდან ახლდა, ევროგაერთიანების ენერგეტიკისა და ტრანსპორტის გენერალური დირექტორის წარმომადგენელი დანიელ გუადერი ხელმძღვანელობდა.

ვიზიტის მიზანია ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის საჰაერო ტრანსპორტის დარგში ურთიერთობების განვითარება და მომავალი თანამშრომლობა, რაც გამოხატული უნდა იყოს საქართველოსა და ევროგაერთიანებას შორის ე. წ. ჰორიზონტალური ხელშეკრულების გაფორმებით.

აღნიშნული ხელშეკრულების მიღება გამოწვეულია ევროგაერთიანების სადამფუძნებლო ძირითადი პოსტულატებით, რომლის შესაბამისად ევროგაერთიანების სუბიექტებს (ჩვენს შემთხვევაში — ევროპის ავიაგადამზიდველებს) გაერთიანების შემთხვევაში ტერიტორიის შიგნით თანაბარი უფლებები გააჩნიათ. აღნიშნული ხელშეკრულება შესაბამისობაში მოიყვანს საქართველოსა და ევროგაერთიანების წევრ სახელმწიფოებს შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ უკვე არსებულ ორმხრივ ხელშეკრულებებს.

სასიხარულოა, რომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციისთვის, შეიძლება ითქვას, გარეშე ძალებისგან თავსმოხვეულ დღევანდელ რთულ პირობებში მიღწეული იქნა ისეთი შეთანხმება, რომელიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის საჰაერო მიმოსვლის საკითხებში ურთიერთობების გაღრმავებასა და განმტკიცებას ითვალისწინებს.

საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ბატონმა ტორბენ ჰოლციმ აღნიშნა, რომ ევროპას სჭირდება და დაინტერესებულია საქართველოს ავიაციის განვითარებით, რომ ამიტომაც აუცილებელია საქართველოს ავიაციის ინტეგრაციის დაჩქარება ევროპის საავიაციო სტრუქტურებში (EKAK). ამჯერად ხელშეკრულების ზოგიერთი ასპექტები განვიხილეთ, გარკვეული დროის განმავლობაში აღნიშნულ ხელშეკრულებას ევროპის ქვეყნები გაეცნობიან და საბოლოო სახეს მიიღებს, ამის შემდეგ ქართული ავიაციის ახალი ცხოვრება დაიწყება.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციის თავმჯდომარემ გიორგი მჟავანაძემ აღნიშნა, რომ ხელშეკრულება საქართველოს მთავრობის პოლიტიკური კურსის „ღია ცის" პრინციპის გათვალისწინებით, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ლიბერალური პრინციპებით განვითარების მექანიზმი გახდება. აღსანიშნავია, რომ ევროგაერთიანებამ თვითონ გამოთქვა სურვილი, საქართველოს სამოქალაქო ავიაციას ტექნიკური დახმარება გაუწიოს და იზრუნოს საკანონმდებლო ბაზის სრულყოფასა და ევროპული სტანდარტების დონეზე მისი ჰარმონიზაციაში მოყვანისთვის.

ყოველივე ეს კეთდება საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებისა და მოსახლეობის უკეთესი მომსახურეობისთვის, რომ თითოეულ მოქალაქეს საშუალება მიეცეს საჰაერო ხაზით ნებისმიერ ქვეყანაში კომფორტულად და უსაფრთხოდ გადაადგილდეს.

**ლალი ქინქლაძე.**

⊙ კომპეტენტური აზრი

# ჩვენი „გაყინული" კონფლიქტების გადაჭრის მზა რეცეპტი არავის არა აქვს

**გლობალური მასშტაბით, რეგიონულ თავისებურებათა ერთობლიობის გათვალისწინებით, საქართველოს დასავლეთში განიხილავენ როგორც ცენტრალური ევრაზიის ქვეყანას, რომელიც ამ ჯგუფში სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ყაზახეთთან, ტაჯიკეთთან, უზბეკეთთან, ყირგიზეთთან, თურქმენეთსა და მონღოლეთთან ერთად შედის.**

**მიუხედავად ეკონომიკური, სოციალურ-ეთნიკური და კულტურული განსხვავებებისა, ჩვენ მართლაც მრავალი პრობლემის მსგავსება გვაერთიანებს, რომელიც გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს ახასიათებთ.**

**ბოლო დროს ცენტრალური ევრაზიის ქვეყნებისადმი როგორც ევროპის, ასევე ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რასაც ეკონომიკურად სავსებით დასაბუთებული ახსნა აქვს: რეგიონში ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მარაგებია. გარდა ამისა, სწორედ ცენტრალური ევრაზიის ქვეყნებზე გადის დასავლეთ-აღმოსავლეთის (ანუ იაპონიის, ჩინეთის, კორეისა და ა. შ.) დამაკავშირებელი სახმელეთო გზა სამხრეთის ძნელად პროგნოზირებადი ქცევის ქვეყნების გვერდის ავლით.**

**რეგიონის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ზრდას დასავლეთი აქტიურობის მომატების მრავალი მიმართულებით ასახავს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების საუნივერსიტეტო სტრუქტურებში ცენტრალური ევრაზიის კვლევითი ცენტრების რიცხვის მკვეთრი ზრდა. ასეთი ცენტრები დასავლეთის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის საკონსულტაციო და სარეკომენდაციო უზრუნველყოფას ემსახურებიან, აყალიბებენ ამ ქვეყნების საზოგადოებრივ ცნობიერებას მათი მეზობლების მიმართ.**

**ერთი ასეთი ცენტრი ახლახანს ჩამოყალიბდა ნიდერლანდების ქალაქ ლეიდენის ცნობილ უნივერსიტეტში. ცენტრმა მოკლე დროში შეძლო აკადემიური ძალებისა და საინფორმაციო მასალების კონცენტრირება და სხვა საკმაოდ მნიშვნელოვანი ღონისძიების ჩატარება. კერძოდ, ცოტა ხნის წინათ ლეიდენის უნივერსიტეტში ჩატარდა ნატოს მიერ დაფინანსებული საერთაშორისო კონფერენცია ცენტრალური ევრაზიის რეგიონის ზემოჩამოთვლილი დასავლეთის ქვეყნების მრავალი კვლევითი ორგანიზაციის მესვეურთა მონაწილეობით. კონფერენციაში მონაწილეობდნენ ასევე საქართველოს წარმომადგენლებიც — პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელის მოადგილე, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი ოთარ კანდელაკი და კავკასიის გარემოს დაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის აღმასრულებელი დირექტორი ნანა ჯანაშია. ქალბატონ ნანა ჯანაშიას მიერ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენება ეხებოდა სამხრეთ კავკასიაში ქვეყნების თანამშრომლობის პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების ერთობლივ დაცვასა და მათ რაციონალურ გამოყენებას, — როგორც ამ ქვეყნების ევროპული ინტეგრირების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას. დღევანდელ პოლიტიკურ პრობლემებს კი შეეხო ბატონი ოთარ კანდელაკი, რომლის მოხსენება „საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობა და აქტუალური პოლიტიკური პრობლემები ჩვენს კორესპონდენტთან საუბრის ძირითადი თემა გახდა.**

იხ. მე-7 გვ.



ქ. ლეიდენში (ნიდერლანდები) გამართული კონფერენციის მონაწილენი საქართველოდან (მარცხნიდან): ნინო ლაზაშვილი, ოთარ კანდელაკი და ნანა ჯანაშია. 2004 წლის სექტემბერი.

⊙ პროკურატურა

# არ დაიჭერ და... შენ დაგიჭერენ

**კორუფციის მავნე სენი, რომელიც საკმაოდ დიდი დოზით მთელს სხეულში გაგვიჯდა წინა ხელისუფლების წაყრუების გამო, როგორც ჩანს, ძალზე ძნელი განსაკურნია. ახალმა ხელისუფლებამ, მართლაცდა, დაუნდობლად შეუტია განურჩევლად ყველას, — პარლამენტარსაც, პროკურორსაც, პოლიცელსაც, საგადასახადოსა თუ საბაჟოს მუშაკსაც... ერთი სიტყვით, ცხვირიდან ძმარს ადენენ მექრთამეს, თუნდაც ხელი უმნიშვნელო თანხაზე წაუცდეს. გლდანი-ნაძალადევის პოლიციის მუშაკი ანზორ დარბინიანი, მაგალითად, დააკავეს 50 ლარზე, ისანი-სამგორის რაიონის საგადასახადო ინსპექციის მუშაკი ლუბა სუდაძე კი — 100 ლარზე...**

ეტყობა, ბევრმა ჯერ კიდევ ვერ გაიცნობიერა დროის მოთხოვნა, ამიტომაც აინუნშიაც არ აგდებს იმ ბრძოლას, რაც კორუფციას გამოუცხადეს. სხვაგვარად რა ვთქვათ, — ამ ბოლო დროს ქრთამზე ჩავარდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც და სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაკებიც. ისე, ჩავარდნაც ჩავარდნაა. რაც ამ დღეებში მცხეთის რაიონში მოხდა, ბევრს დაუჯერებლად მოეჩვენება.

30 აგვისტოს იქ დააკავეს სოფელ ძეგვიდან ფულის გამოძალვის მიზნით ადამიანის გატაცებაში ეჭვმიტანილები, ვინმე ხიდაშელი, ლექავა და ამანათიდი. მათგან ამოიღეს იარაღიც და საბრძოლო მასალაც. დაკავებულები რატომღაც მეორე დღესვე საეჭვო ვითარებაში გაათავისუფლეს, ხოლო ამოღებული იარაღი ასევე საეჭვო ვითარებაში გააქრეს. დაზარალებულის მეუღლე არ გაჩერდა, ზემდგომ ორგანოებს ინფორმაციაც მიაწოდა და გულაჩუყებული პოლიციელები 50.000 ლარის ქრთამის აღებაშიც დაადანაშაულა. 22 სექტემბერს ამ სკანდალის გამო დააკავეს მცხეთის პოლიციის უფროსი გოჩა პარკაული, მისი მოადგილე ვაჟა დგებუაძე და კიდევ ორი მუშაკი (გოჩიაშვილი და ბაბაევი).

ამის შემდეგ საქმემ პოლიციიდან პროკურატურაში გადაინაცვლა, სადაც მცხეთის პროკურორის მიხეილ ჭანუყვაძის და მისი მოადგილის თემურაზ მარიამიძის ბრალეულობაც გამოიკვეთა. კერძოდ, ისინი ზერელედ, გულგრილად მოეკიდნენ ჯერ ადამიანის გამტაცებელთა დაკავებას, შემდეგ კი მათ გაშვებას, უფრო მეტიც — ეჭვმიტანილთა იარაღის გაქრობას. სწორედ ამიტომ 26 სექტემბერს ერთიცა და მეორეც „აიყვანეს". სპეციალურ პრესკონფერენციაზე გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილემ მიხეილ ჩინჩალაძემ ისინი დაადანაშაულა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში, მოკვლევასა და წინასწარ გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობის განუხორციელებლობაში. ეს ყველაფერი კი, ვარაუდით, მიდის ანგარებისკენ, ქრთამისკენ.

დაკავებულ პოლიციელებს ბრალი უკვე წაუყენეს და წინასწარი 3-3-თვიანი პატიმრობაც შეუფარდეს. პროკურორთა ბედზე კი მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო დღეს იმსჯელებს. ეტყობა, საკანს თავს ვერც ისინი დააღწევენ. ხელისუფლებას ისეთი ტემპი აქვს აღებული კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომ ველარავის შველის ვერც სკამი და ვერც ჩინი. საკმარისია ითქვას, რომ სწორედ ქრთამზე ახლახან ექსპარლამენტარს გია კენჭაძეს მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა ორი წლით. სამწუხაროდ, მისი დაჭერისგან დასკვნა ყველამ ვერ გამოიტანა.

**ზონდო გულიაშვილი.**

# პირველი კონფერენცია “ჯი-ემ-პი კავკასიისთვის”

GMP ჯი-ემ-პი







## სს „გამოფენების ცენტრის“ აქციონერთა საყურადღებოდ!

სს „გამოფენების ცენტრი“ იწვევს აქციონერებს რიგგარეშე საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2004 წლის 18 ოქტომბერს 12 საათზე საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 118, ადმინისტრაციული შენობა.

**დღის წესრიგი:**

**1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გადარჩევა;**

**2. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა.**

აქციონერებს კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში მონაწილეობის უფლება მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 80 – შპს „კაპიტალ-რეგისტრი“, ტელ: 23-03-84, დილის 11 საათიდან 17 საათამდე. აქციონერებს დეტალური ინფორმაცია დღის წესრიგში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით შეუძლიათ მიიღონ საზოგადოების იურიდიულ მისამართზე, დირექციაში.

კრების სააღრიცხვო დღე არის 2004 წლის 20 სექტემბერი.

გთხოვთ, კრებაზე დასწრებისას თან იქონიოთ პირადობის დამადასტურებელი საბუთი.

**სს „გამოფენების ცენტრის“ დირექცია.**



## დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (25.09.04 № 223) კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის მიერ ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნებული განცხადების მე-6 მუხლში უნდა იყოს: **„ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სატენდერო მოსაკრებლის (500 ლარი) გადახდის შემდეგ მიმდინარე წლის 20 ოქტომბრის 17 საათამდე“...**

შემდეგ როგორც ტექსტშია.

**კადასტრისა და მიწის რეგისტრაციის პროექტის ხელმძღვანელი.**


## სამშაბათი, 28 სექტემბერი,

**07.30** ალიონი **09.30** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.55** "იმღერე რამე" **10.35** მხ. ფილმი **"ცეცხლთან თამაში"** (**გ**) მე-2ს. **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** სერიალი **"კარიბის გული"** **13.00** ღამის მატარებელი **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ. ფილმი "შოლიათის ნაკვალევზე" **15.15** "ასე ვცხოვრობთ" - რეხვიაშვილი **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** სერიალი **"უშიშრები"** **16.30** ისტორიანი -ფარნავაზი **17.00** მულტსერიალი "მარსუპილამი" **17.30** დოკ. ფილმი "ცხოველი და მისი ტერიტორია" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი **"წვრილვარსკვლავთა ღამე"** **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი **"კარიბის გული"** **22.00** "აუდიტორია"- გ. ლორთქიფანიძე **00.00** მხ. ფილმი **"დღე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი **"შეყვარებული ქალები"** **11.00** "ვის უნდა 50 ათასი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.10** კურიერი **12.20** სერიალი **"ბევერლი ჰილზი"** **13.30** მხ. ფილმი **"ბოშათა ბანაკი ცას მიემგზავრება"** **15.25** სერიალი **"სასწრაფო"** **16.30** სერიალი **"ალფი"** **17.05** სერიალი **"მაშველები"** **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** სერიალი **"ბევერლი ჰილზი"** **19.45** სერიალი **"შეყვარებული ქალები"** **22.00** ღამის შოუ **23.00** დოკ. ფილმი (ქართველები კრემლში და მის გარეთ) მე-2ნ. **00.00** მხ. ფილმი **"პატიმარი"**. მთ. რ-ში: სილვესტერ სტალონე (**18**)ყ **02.30** მხ. ფილმი **"რკინის არწივი-2"**. მთ. რ-ში: ლუის ჰოსტერი უმც., მარკ ჰამფრი (**18**).

**07.00** სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** ანიმაციური ფილმი "სანდოკანი - მალაიზიის ვეფხვი" **08.25, 02.20** იმედის მელოდიები **08.30** დოკ. სერიალი "ყველაზე ექსტრემალური" **09.20** "აქტიორი" **10.05** სერიალი **"ტყუპები"** **11.15** სერიალი **"ყავა და ლუდი"** **12.20** თამაში "ათასიდან ერთი შანსი" **12.40, 16.25, 01.50 ტვ-**მარკეტი **13.15** მხ. ფილმი **"სომერსბი"** (15) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.40** ქრონიკა **15.20** სერიალი **"კლონი"** **16.40** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **17.25** სპ. პროგრამა "ასი" **18.05** სერიალი **"ტყუპები"** **20.00** სერიალი **"კლონი"** **20.55** სერიალი **"ყავა და ლუდი"** **22.50** "ათასიდან ერთი შანსი" **23.20 ფეხბურთი**. "დინამო" (თბილისი) – "ვისლა" (კრაკოვი) (ჩანაწერი) **00.55** სერიალი **"ნეშ ბრიჯესი"** **03.20** ქრონიკა

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი **"ველური მთვარე"** **10.30** სერიალი **"სინიორ ვიანელო"** **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი **"პატარა დიდი ბოზი"** **11.35** კრიმინ. დრამა **"სთშჯ** დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **12.05** "ჰოლივუდი დღეს" **13.05** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი **"მარია ემილია"** **16.05** სერიალი **"პოლიციელი ქალები"** **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** შემეცნ. გასართობი პროგრამა "დები ტრევისის საოცარი სახლი" **19.05** სერიალი **"ველური მთვარე"** **20.45** სერიალი **"სინიორ ვიანელო"** **21.15** სერიალი **"პატარა დიდი ბოზი"** **21.45** ერთი ჟურნალისტის მზერა. გ. ცხვიტავა. "სნაიპერი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი **"ესენია"** (**გ**) (ჟაკლინ ანდერე)

# სადრ-სიტი „აშშ-ს ავიაციამ დაბომბა“

**ამერიკული ავიაციის მიერ ბაღდადის სადრ-სიტის რაიონზე ღამით განხორციელებული თავდასხმის შედეგად დაიღუპა სულ ცოტა ერთი ადამიანი და დაიჭრა 40.** აშშ-ს სამხედროები არანაირ კომენტარს არ უკეთებენ ამ ცნობას, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გავრცელდა.

სადრ-სიტი რადიკალური შიიტი სასულიერო პირის მოქთადა სადრის მომხრეთა დასაყრდენი პუნქტია. ორშაბათს დილით ბოევიკებმა ბაღდადში ნაღმტყორცნიდან ცეცხლი გაუხსნეს პოლიციის აკადემიის შენობას, შედეგად არავინ დაშავებულა. ამასობაში ცნობილი გახდა, რომ ქალაქ მოსულში ავტომანქანაში ჩადებული ბომბის აფეთქების შედეგად ოთხი ადამიანი დაიღუპა.



# მძევლის ბედი კვლავ გაურკვეველია

**კვლავინდებურად არაფერია ცნობილი ბრიტანელი მძევლის კენ ბიგლის შესახებ.** თავად ერაყში ვერავინ ადასტურებს მძევლის ძმის ცნობას იმის შესახებ, რომ კენი ჯერ ცოცხალია. ბრიტანეთის მუსლიმანური საბჭოს წევრები, რომლებიც უქმეებზე ერაყში იყვნენ ჩასულები ბიგლის გათავისუფლების შესახებ მოლაპარაკებების საწარმოებლად, შინ ბრუნდებიან. ბრიტანელი მუსლიმანები შეხვდნენ ერაყის სუნიტური, შიიტური და ქრისტიანული საზოგადოებების წარმომადგენლებს, ესაუბრნენ სამოქალაქო ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ბრიტანელებმა ჩაწერეს ვიდეომიმართვა ბიგლის გამტაცებლებისადმი, რომელშიც 62 წლის ინჟინერს მსხვერპლი უწოდეს და მისი ბედი ამ უქმეებში ამერიკელთა მიერ დაბომბილი ფალუჯის მცხოვრებთა ბედს შეადარეს.

# ბლერს საზრუნავი მოუმრავლდა

**ინგლისის ქალაქ ბრაიტონში მიმდინარე მმართველი ლეიბორისტული პარტიის ყოველწლიურ კონფერენციაზე ერთ-ერთი მთავარი საკითხი კენ ბიგლის გატაცება და ერაყში შექმნილი მძიმე სიტუაცია იქნება.**

საზოგადოებრივი აზრის ბოლოდროინდელი გამოკითხვის შედეგების თანახმად, ლეიბორისტები, რომლებიც შვიდნახევარი წლის წინათ მოვიდნენ ხელისუფლებაში, თანდათან კარგავენ ხალხის მხარდაჭერას, ერაყის ომმა კი საგრძნობლად შეარყია პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის ავტორიტეტი. როგორც ცნობილი გახდა, ბლერი არც ამჯერად აპირებს ბოდიშის მოხდას და ეს მაშინ, როცა იგი იძულებული გახდა თავად ეღიარებინა ერაყში მასობრივი ჟლეტის იარაღის არსებობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის დაუმტკიცებლობა. ბლერს საშუალო კლასის ნდობის დაბრუნებაზეც მოუწევს ზრუნვა, იმავდროულად მან არც ლეიბორისტთა ტრადიციული მხარდამჭერი მემარცხენე აქტივისტების კეთილგანწყობა უნდა დაკარგოს.

# დამასკოში ააფეთქეს ხამასის ერთ-ერთი ლიდერი

**სირიის დედაქალაქ დამასკოში მომხდარ აფეთქებას შეეწირა ხამასის გასამხედროებული დაჯგუფების ერთ-ერთი ლიდერი იზედინ შეიხ ხალილი. ხალილის მანქანაში ასაფეთქებელი მოწყობილობა ამოქმედდა.**

შეიხ ხალილის დაღუპვაში ხამასმა ისრაელის სპეცსამსახურები დაადანაშაულა და განაცხადა, რომ აუცილებლად იძიებს შურს და ახლო მომავალში უცხოეთში არსებულ ისრაელურ ობიექტებზე მიიტანს იერიშს. მოგვიანებით ხამასმა უარყო ეს შეტყობინება, მისმა წარმომადგენელმა უსამა ჰამდანმა კი განაცხადა, რომ მისი ორგანიზაციის პოლიტიკა კვლავაც უცვლელი რჩება და სიონისტების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე არსებულ ობიექტებზე თავდასხმებს შეეხება.

## ჩინეთი: კორუფცია ძალზე საშიშია

**ჩინეთის კომპარტიამ გააფრთხილა თავისი წევრები, რომ შეიძლება კორუფციამ და არაკომპეტენტურობამ შიგნიდან გამოუთხარონ მას ძირი.** ამასთან, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ ჩინეთში კომუნისტური მმართველობა გარანტირებული არ არის და რომ კორუფციასთან ბრძოლა პარტიის სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეა. ბოლო წლებში სხვადასხვა დანაშაულისთვის ათასობით ჩინელი მოხელე დაისაჯა, ზოგს კი სასიკვდილო განაჩენიც კი გამოუტანეს.

# პოლონეთის პრემიერი ბერლინში ომის შედეგებზე იმსჯელებს

**პოლონეთის პრემიერ-მინისტრის მარეკ ბელკასა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის გერჰარდ შრედერის მოლაპარაკებებს ბერლინში ერთგვარად ჩრდილს აყენებს იმ კომპენსაციებთან დაკავშირებული კამათი, რომელთა მიღება ვარშავას მეორე მსოფლიო ომის წლებში ოკუპაციისთვის სურს.**



პოლონეთის სეიმმა უკვე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ პოლონეთს ადეკვატური კომპენსაცია არ მიუღია და დაავალა პრემიერ-მინისტრს დაეყენებინა ეს საკითხი გერმანიაში ვიზიტის დროს. მიუხედავად იმისა, რომ მოვლენები, რომელთა გამოც მიდის დავა, 60 წლის წინათ მოხდა, პოლონეთ-გერმანიის ურთიერთობაში ეს მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორად იქცა. გერმანელთა მცირე ჯგუფის მოთხოვნა – დაუბრუნონ მათი წინაპრების კუთვნილი საკუთრება, რომელიც ომის შემდეგ პოლონეთის ტერიტორიაზე მოექცა, პოლონეთში გააფთრებულ წინააღმდეგობას გადააწყდა. ერთ-ერთმა ჯგუფმა, რომელიც თავის თავს „პრუსიის საკუთრების დაბრუნების საზოგადოებას“ უწოდებს, განაცხადა, რომ პოლონეთისა და ევროპის სასამართლოებში სარჩელის შეტანას აპირებს. ამან აიძულა პოლონეთის სეიმი მიეღო საპირისპირო რეზოლუცია, რომელშიც ამ მოთხოვნებს უნიადაგო ეწოდა.

სეიმის მიერ ამ რეზოლუციის მიღების შემდეგ პრემიერ-მინისტრი მარეკ ბელკა აცხადებდა, რომ ხსენებული საკითხი ერთხელ და სამუდამოდ დაიხურა და რომ ის შეეცდება ბერლინში ამ თავისი ვიზიტის დროს გერმანიასთან საერთო პოზიცია გამონახოს.

# ერის ერთობისთვის კრემლს ძალიან სჭირდება ხელმისაწვდომი მტერი

(მეორე გვერდიდან)

ვინც პოლიტიკურ და სამხედრო დონეზე წინააღმდეგობას უწევს რუსეთის დაჯგუფებას ჩრდილოეთ კავკასიაში. მოსკოვმა გაეროს უშიშროების საბჭოს ტერორისტთა გაცემასთან დაკავშირებით, რეზოლუციის მიღება შესთავაზა. რა თქმა უნდა, დასავლეთი მხარს დაუჭერს რეზოლუციას, მაგრამ იმ პოლიტიკურ ლტოლვილებს, ვისაც ბესლანთან არანაირი კავშირი არა აქვთ, არ გასცემს.

ამიტომაც, მიუხედავად კატარში იანდარბიევის საბოლოო ლიკვიდაციისთვის გამიზნული სპეცოპერაციის ჩავარდნისა, მაინც იგეგმება მასხადოვის ემისრებისა და ჩეჩენ სეპარატისტთა ლიდერების განადგურების პრაქტიკის გაგრძელება. მაგრამ პოლიტემიგრანტებს ჯერ უნდა მისწვდე, რათა მათი თვალშისაცემი ლიკვიდაცია მოაწყო, დასავლეთის სპეცსამსახურები კი, კატარის გამოცდილების გათვალისწინებით, ჩვენს გასტროლიორებს დაელოდებიან.

ამასობაში მასხადოვმაც გამოაცხადა, რომ ბესლანში მოწყობილი სასაკლაოსთვის ბასაევს პასუხისგებაში მისცემს, ამასთან წარმატების შანსები მას ბევრად მეტი აქვს, ვიდრე რუსეთის უშიშროების სამსახურსა და პროკურატურას...

აუცილებლად საჭიროა, შეიქმნას გარკვეული დარტყმის მიყენება, ხელმისაწვდომი მტერი კი არ ჩანს. ეტყობა, მხოლოდ საქართველო რჩება – სუსტი, საძულველი და თანაც ცხვირწინ არის პანკისი, რომელიც შეიძლება დაბომბო და უპატაკო. თუმცა ზედ ზამთრის წინ ტრანსკავკასიური კონფლიქტის წამოწყება სიგიჟეა, თანაც სააკაშვილისეული საქართველო არც ისეთი სუსტია, როგორც უწინდელი, მაგრამ გაჭირვებამ კანონი არ იცის.

**მოამზადა
სიმონ კილაძემ.**

# თურქეთის პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსი შეცვალა

**თურქეთის პარლამენტმა მოიწონა სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ქვეყნის ევროკავშირში შესვლის გაიოლებას შეუწყობს ხელს. თუმცა, პრეტენზიები მოდერნიზებული სისხლის სამართლის კოდექსის მიმართ ისევ რჩება. ზოგს მიაჩნია, რომ კოდექსი შესწორებების შეტანის შემდეგაც ბოლომდე ვერ იცავს ქალების უფლებებს, ხოლო ცალკეული მუხლების ინტერპრეტირება სხვადასხვანაირად შეიძლება.**

ამ სამართლებრივი დოკუმენტის გადასინჯვა თურქეთში რეფორმების ოთხწლიანი პროგრამის ბოლო ელემენტია. ცვლილებები შევიდა სამართალწარმოების სისტემაში, კონსტიტუციაში, ეროვნულ უმცირესობებისადმი დამოკიდებულებაში, გადაისინჯა სამხედროების როლი ქვეყნის მართვაში, აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსში.

ევროკომისია, რომელიც რეფორმების პროგრამის განხორციელებას აკვირდებოდა, დადებითად ეკიდება თურქეთში მიმდინარე გარდაქმნებს. თუმცა, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ დანერგილა.



# „ივანი“ „ჯეინმა“ შეცვალა...

**● „ივანმა“ ფლორიდა ათი მილიარდით დააზარალა...**

**● „ივანის“ მთავარი დარტყმა პენსაკოლამ მიიღო, რომელიც აღიგავა პირისაგან მიწისა...**

**● პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საგანგებოდ ჩავიდა პენსაკოლაში და დაზარალებულებს დახმარება აღუთქვა...**

**● გრიგალმა „ჯეინმა“ ბრენდონში უზარმაზარი მუხები მოთხარა, რადგან გამუდმებული წვიმებისგან მიწა წყლითაა გაჟღენთილი...**

**● გრიგალი ფლორიდის მიწაზე კვლავ ვესტპალმბიჩის მიდამოებში შემოიჭრა...**

**● „ჯეინი“ ყველაზე ვერაგი და სისხლიანი გამოდგა ამ სეზონში. მხოლოდ ჰაიტიზე მან ორიათასზე მეტი ადამიანი იმსხვერპლა...**



გრიგალი და ტროპიკული ქარიშხალი ფლორიდაში უცხო ხილი როდია, მაგრამ წელს ბუნებამ განსაკუთრებული გამოცდა მოუწყო მოსახლეობას. როგორც ჩვენი გაზეთების მკითხველებმა იციან, ნახევარკუნძულის მოსახლეობამ ორიოდე თვეში დიდი განსაცდელი გადაიტანა. მხოლოდ „ჩარლისა“ და „ფრენსისის“ მიერ შტატი ცამეტი მილიარდით დაზარალდა, ბოლო „ივანის“ მიერ, მიყენებული ზარალი ათ მილიარდს აღემატება!



დაზიანდა მექსიკის ყურის სანაპიროზე განლაგებული დასახლებული პუნქტები, პანამა სიტიდან პერდიდო კეიმდე, – ალაბამას შტატის საზღვრამდე; დაინგრა ჩანტკლერი, ნავარე, სანტა-როზა, ფორტ ვალტონ ბიჩი, ხოლო ქალაქი პენსაკოლა საერთოდ აღიგავა პირისაგან მიწისა, რადგან მთავარი დარტყმა მან მიიღო.

პრეზიდენტი ჯორჯ ბუში საგანგებოდ ჩავიდა პენსაკოლაში, დაზარალებული მოსახლეობა გაამხნევა და დახმარება აღუთქვა.

მეგონა, ამით დასრულდა გრიგალების შემოტევა ამ სეზონში; მაგრამ კარიბის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ტროპიკული ქარიშხალი „ჯეინი“ იშვა, რომელიც მალე მრისხანე გრიგალად იქცა! პირველად იგი სანტა დომინგოს „ეძგერა“; შემდეგ ჰაიტისკენ გაუტია...

ჰაიტი მცენარეულობით ღარიბია; ტყეები პირწმინდად გაკაფულია; ქარს წინ არაფერი ეღობება და თავისუფლად დათარეშობს. გამუდმებულ წვიმებს კუნძულზე ძლიერი წყალდიდობები მოჰყვა. მთელი ტერიტორია წყლით დაიტბორა. მოსახლეობა თავიანთი ფარღალალა სახლების სახურავზე ავიდა, და ისე ელოდებოდა გამოდარებას. დიდია მსხვერპლი – დაიღუპა 1071 ადამიანი, 1250 უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ვარაუდობენ, რომ წყლის დონის დაკლების შემდეგ დაღუპულთა რიცხვი დაზუსტდება, რომელიც სამწუხაროდ, გამოცხადებულზე გაცილებით მეტი იქნება.

„ჯეინი“ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მოძრაობდა, და ატლანტის ოკეანისკენ აგრძელებდა გზას, მაგრამ მოულოდნელად „მარყუჟი“ გააკეთა და ფლორიდისკენ შემობრუნდა. სინოპტიკოსების აზრით, „ჯეინის“ მიმართულების ზუსტად გამოცნობა შეუძლებელია, რადგან ყოველ წუთს შეიძლება კურსი იცვალოს. ასეც მოხდა! „ჯეინი“ ნახევარკუნძულზე ვესტპალმბიჩსა და ვერა ბიჩს შორის მონაკვეთზე შემოიჭრა, რომლის ძალა მესამე კატეგორიას უდრიდა. ეს მოხდა სამი კვირის შემდეგ, იმ დღიდან, რაც გრიგალი „ფრენსისი“ ზუსტად ამ მონაკვეთზე შემოიჭრა ნახევარკუნძულზე და მიწასთან გაასწორა ფლორიდის აღმოსავლეთ სანაპიროს ულამაზესი ადგილები...

მოსახლეობა ელექტროენერგიის გარეშე დარჩა, დიდია მატერიალური ზარალი, მსხვერპლის შესახებ ჯერჯერობით არაფერს იუწყებიან. გრიგალის ძალა პირველ კატეგორიამდე შესუსტდა. იგი სწრაფად მოძრაობს ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით.

ლარგო-კლივოტერსა და გალფორდში, სადაც ქართველები დროებით ვცხოვრობთ, ყველაფერი დაკეტილია, – მაღაზიები, სკოლები, დაწესებულებები; ქარი გამუდმებით უბერავს; დროდადრო გაძლიერდება, რომელსაც წვიმა-თქეშიც დაერთვის, მაგრამ ადრინდელი, დამანგრეველი ძალა აღარა აქვს. მიუხედავად ამისა, ქუჩებში პოლიციისა და ჟურნალისტების მეტს ვერავის ნახავთ.

ბრენდენში გრიგალმა უზარმაზარი მუხები მოთხარა, რადგან გამუდმებული წვიმების გამო ნიადაგი წყლითაა გაჟღენთილი.

თუ გრიგალმა კვლავ იცვალა მიმართულება და მექსიკის ყურეში შემობრუნდა, იგი აუცილებლად გაძლიერდება, და პინელასსა და ჰილსბოროს დაარტყამს. ამის შესახებ ცდილობენ არ ილაპარაკონ, თუმცა სრულ მზადყოფნაში არიან...

სინოპტიკოსების აზრით, „ჯეინი“ ყველაზე ვერაგი და სისხლიანი აღმოჩნდა ამ სეზონში...

**ჯუმბერ ჯიშკარიანი,
„სრ“ საკ. კორ. აშშ-ში,
ლარგო, ფლორიდა.**



# განცხადებები ტენდერების ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს (ორ ლოტად), 2004 წლის მოსახლეობის სტაციონარული დახმარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბავშვთა სამედიცინო დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი:

**I ლოტი: 0-3 წლამდე ბავშვთა სტაციონარული მკურნალობა ქ. თბილისში;**

**II ლოტი: 0-3 წლამდე ბავშვთა სტაციონარული მკურნალობა ქ. ზუგდიდში.**

**შენიშვნა: I ლოტში მონაწილეობის მსურველის მიერ შემოთავაზებული უნდა იყოს ბავშვთა პროგრამით განსახორციელებელი მომსახურების მოცულობის არანაკლებ 90 პროცენტი (პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო საქმიანობის სახეობების (სპეციალობების) მიხედვით).**

3. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების დადების დღიდან 2004 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი – დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ **2004 წლის 15 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.**

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისთვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან).

**5.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

**5.3 როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისთვის:**

ა) ლიცენზია (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერტიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან).

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:**

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების აღწერილობა (შესასრულებელი სახელმწიფო სტანდარტების ჩამონათვალი სტანდარტის კოდის ზრდადობის მიხედვით) გასაწევი მომსახურების ვადებისა და შედეგების მითითებით;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (საწოლების რაოდენობის მითითებით);

ე) ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისთვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება **2004 წლის 20 ოქტომბრიდან,** წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება **500 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (სახაზინო ანგარიშის № 115700718, კოდი 220101107). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული**.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში (თითოეულ ლოტზე) გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

16. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან – **სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ზელა ჩიკვაიძე, ლალი დევიძე ტ. 694871, 696590, ეკატერინე ლელაშვილი ტ. 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: Procurement_Ge@yahoo.com.**

**სატენდერო კომისია.**

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს (რვა ლოტად), მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში უმწეოთა დამატებითი სამედიცინო დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც გულისხმობს პროგრამაში უმწეოთა პოლისის მქონე მოქალაქეთა სამედიცინო დახმარებას (სტაციონარული), და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი:

**I ლოტი: უმწეოთა გეგმიური სტაციონარული მომსახურება, ქ. თბილისში პროგრამით გათვალისწინებული სრული მოცულობით, სპეციალობა – კომბუსტიოლოგიის გარდა;**

**II ლოტი: უმწეოთა გეგმიური სტაციონარული მომსახურება, ქ. ქუთაისში;**

**III ლოტი: უმწეოთა გეგმიური სტაციონარული მომსახურება, ქ. ზუგდიდში;**

**IV ლოტი: უმწეოთა გეგმიური სტაციონარული მომსახურება, ქ. რუსთავში;**

**V ლოტი: უმწეოთა გეგმიური სტაციონარული მომსახურება, ქ. გორში;**

**VI ლოტი: უმწეოთა გეგმიური სტაციონარული მომსახურება, ქ. ბათუმში;**

**VII ლოტი: უმწეოთა გეგმიური სტაციონარული მომსახურება, ქ. ჭიათურა;**

**VIII ლოტი: უმწეოთა გეგმიური სტაციონარული მომსახურება, ქ. ზესტაფონი;**

3. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების დადების დღიდან 2004 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი – დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ **2004 წლის 15 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.**

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისთვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან).

**5.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

**5.3 როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისთვის:**

ა) ლიცენზია (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერტიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან).

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:**

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების აღწერილობა (შესასრულებელი სახელმწიფო სტანდარტების ჩამონათვალი სტანდარტის კოდის ზრდადობის მიხედვით) გასაწევი მომსახურების ვადებისა და შედეგების მითითებით;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (საწოლების რაოდენობის მითითებით);

ე) ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისთვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება **2004 წლის 20 ოქტომბრიდან,** წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება **500 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (სახაზინო ანგარიშის № 115700718, კოდი 220101107). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერის თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

16. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან – **სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ზელა ჩიკვაიძე, ლალი დევიძე ტ. 694871, 696590, ეკატერინე ლელაშვილი ტ. 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: Procurement_Ge@yahoo.com.**

**სატენდერო კომისია.**

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ღია, ორეტაპიან ტენდერს (ათ ლოტად), მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2003 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ურგენტული მომსახურების პროგრამის მიხედვით სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით, რომელიც გულისხმობს პროგრამაში 2003 წლის სახელმწიფო სტანდარტებით გათვალისწინებულ სამედიცინო დახმარებას (სტაციონარული) და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტი:

I ლოტი:

**3-დან 14 წლამდე ბავშვთა ურგენტული სტაციონარული მომსახურება ქ. თბილისში;**

II ლოტი:

**მოზრდილთა (14 წელს ზემოთ) ურგენტული სტაციონარული მომსახურება ქ. თბილისში;**

III ლოტი:

**3-დან 14 წლამდე ბავშვთა ურგენტული სტაციონარული მომსახურება ქ. ზუგდიდში;**

IV ლოტი:

**მოზრდილთა (14 წელს ზემოთ) ურგენტული სტაციონარული მომსახურება ქ. ზუგდიდში;**

V ლოტი:

**მოზრდილთა (14 წელს ზემოთ) ურგენტული სტაციონარული მომსახურება ქ. ბათუმში;**

VI ლოტი:

**მოზრდილთა (14 წელს ზემოთ) ურგენტული სტაციონარული მომსახურება ქ. ქუთაისში;**

VII ლოტი:

**მოზრდილთა (14 წელს ზემოთ) ურგენტული სტაციონარული მომსახურება ქ. ზესტაფონში;**

VIII ლოტი:

**მოზრდილთა (14 წელს ზემოთ) ურგენტული სტაციონარული მომსახურება ქ. ჭიათურაში;**

IX ლოტი:

**მოზრდილთა (14 წელს ზემოთ) ურგენტული სტაციონარული მომსახურება ქ. გორში;**

X ლოტი:

**მოზრდილთა (14 წელს ზემოთ) ურგენტული სტაციონარული მომსახურება ქ. რუსთავში.**

**შენიშვნა: I და II ლოტებში მონაწილეობის მსურველის მიერ შემოთავაზებული უნდა იყოს ურგენტული პროგრამით განსახორციელებელი მომსახურების მოცულობის 60 პროცენტზე მეტი (პროგრამით განსაზღვრული სამედიცინო საქმიანობის სახეობების (სპეციალობების) მიხედვით).**

3. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების დადების დღიდან 2004 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი – დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ **2004 წლის 15 ოქტომბრიდან 19 ოქტომბრის 18 საათამდე** შემდეგ მისამართზე: **საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.**

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**5.1 იურიდიული პირისთვის:**

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ნოტარიუსთა პალატიდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან).

**5.2. ფიზიკური პირისთვის:**

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით).

**5.3 როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისთვის:**

ა) ლიცენზია (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართის წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერტიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან).

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. მე-5 პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უცხო ქვეყნის იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ქვეყნის სათანადო ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით.

8. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

**9. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:**

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების აღწერილობა (შესასრულებელი სახელმწიფო სტანდარტების ჩამონათვალი სტანდარტის კოდის ზრდადობის მიხედვით) გასაწევი მომსახურების ვადებისა და შედეგების მითითებით;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (საწოლების რაოდენობის მითითებით);

ე) ინფორმაცია აღნიშნული მომსახურების სფეროში არსებული გამოცდილების შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

10. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

11. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისთვის დადგენილ პირობებს.

12. საკვალიფიკაციო შერჩევა დაიწყება **2004 წლის 20 ოქტომბრიდან,** წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

13. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გაცემა მოხდება **500 ლარის** ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (სახაზინო ანგარიშის № 115700718, კოდი 220101107). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული**.

14. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

15. ტენდერში (თითოეულ ლოტზე) გამოვლინდება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

16. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

17. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისგან – **სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ზელა ჩიკვაიძე, ლალი დევიძე ტ. 694871, 696590, ეკატერინე ლელაშვილი ტ. 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: Procurement_Ge@yahoo.com.**

**სატენდერო კომისია.**

◎ კომპეტენტური აზრი

# ჩვენი „გაყინული“ კონფლიქტების გადაჭრის მზა რეცეპტი არავის არა აქვს

(მეოთხე გვერდიდან)

– საქართველოს თანამედროვე პოლიტიკურმა მდგომარეობამ, გასაგებ მიზეზთა გამო, ლეიდენის კონფერენციის მონაწილეთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია, – თქვა საუბრისას ბატონმა ოთარ კანდელაკმა. – საქმე ის არის, რომ სამხრეთ კავკასიაში შექმნილი ვითარება და აქ მიმდინარე პროცესები ამჟამად მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

მართებულად მიმაჩნდა, რომ ლეიდენის კონფერენციაზე შეკრებილთა ყურადღება გამემახვილებინა, საქართველოს ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემატიკაზე – მხედველობაში მაქვს რუსეთის მხრიდან უცხო სახელმწიფოში საკუთარი ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების დარიგება. – ამას დასავლეთის პოლიტიკურ წრეებში „მცოცავ ინტერვენციას“ უწოდებენ. ეს, ფაქტობრივად, სხვა არაფერია, თუ არა უცხო სახელმწიფოს ტერიტორიის „მოგუდულ ხმაზე“ დაუფლება.

საკითხი ასე დგას: თუკი ასეთი სქემა საქართველოს მიმართ განხორციელდება, იგი შეიძლება სხვა ქვეყნების მიმართაც გამოიყენონ, რაც, არსებითად, ყოფილი საბჭოთა იმპერიის აღდგენის მცდელობას ნიშნავს.

ბატონ ოთარ კანდელაკის მოხსენებისადმი ინტერესის დონეზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ მის გამოსვლას საგანგებოდ დაესწრო ნიდერლანდებში რუსეთის ფედერაციის საელჩოს წარმომადგენელი. მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოსვლის ზოგიერთ თეზისს არ დაეთანხმა, მან ღირსეულად ჩათვალა მასთან პირადი გასაუბრება.

– მე განვაცხადე: იმ მდგომარეობის აღდგენა, რომელიც წლეულს გაზაფხულამდე სუფევდა ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“, წარმოუდგენელია და, თუკი რუსეთს საკუთარი პოზიტიური მოქმედების გეგმა არა აქვს არსებული კონფლიქტის მშვიდობიანად და ყველასათვის მისაღები გადაჭრის გზების თაობაზე, მაშინ მან საქართველოს ხელისუფლებას ხელი არ უნდა შეუშალოს, – განაგრძობს ბატონი ოთარ კანდელაკი. აუცილებლად გასათვალისწინებელია საკითხის რამდენიმე ასპექტი, უწინარესად კი ის, რომ ბოლო დროს ვითარება შეიცვალა როგორც თავად საქართველოში, ასევე მთელს მსოფლიოში.

ამ შემთხვევაში, კონკრეტულად, ლაპარაკია იმაზე, რომ ბოლო ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ქართულ-ოსური კონფლიქტი (ან უფრო სწორად, ქართულ-რუსული კონფლიქტი ოსებით დასახლებულ რეგიონში) „გაყინული“ იყო და ეს, ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, თითქოსდა დადებითი მოვლენა გახლდათ.

აუცილებელია ერთ გარემოებაზე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება: საქართველოს ასეთ „ხელებგადაგრეხილ“ მდგომარეობაში ყოფნას, როგორც იგი ამჟამად სამაჩაბლოსა და აფხაზეთის კონფლიქტის გამოა, წერტილი უნდა დაესვას.

– ამ პრობლემის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით ცალსახა მზა პასუხი არავის არ აქვს, მაგრამ, ჩემდა სამწუხაროდ, რამდენიმე რუსი ოპონენტის აზრმა გამაკვირვა – თითქოსდა პირადად რაღაც „ნაციონალისტური“ და „ანტირუსული“ პოზიციის აპოლოგეტი ვარ, – ამბობს ბატონი ოთარ კანდელაკი. – კატეგორიულად უარვყავი მსგავსი ინსინუაციები და სრული პასუხისმგებლობით განვაცხადე: ასეთია როგორც საქართველოს ხელისუფლების, ასევე ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სრულიად მართებული პოზიცია.

მთელი ერის განწყობა ის არის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის უნდა იყოს კეთილმეზობლური, თანასწორუფლებიანი ურთიერთობა. საამისოდ აუცილებელია „ჩამოვარდეს“ მშვიდობა და ურთიერთხელსაყრელი დამოკიდებულება, – ერთხელ და სამუდამოდ და ჩვენ, – ამას ხაზი მინდა გავუსვა – მადლობელი ვართ და მომავალშიც მადლობელი ვიქნებით ყველასი, ვინც ამაში დაგვეხმარება და მეგობრობის ხელს გამოგვიწვდის.

სრულიად ზედმეტია ლაპარაკი „რამდენიმე“, ანუ „სხვადასხვა“ რუსეთზე. ლეიდენის კონფერენციის ერთ-ერთი მონაწილე პოლიტოლოგის თქმით, რუსეთს საქართველოს მიმართ არც „კარგი“, არც „ცუდი“ პოზიცია არა აქვს – მას, უბრალოდ, არანაირი პოზიცია არ გააჩნია.

– ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ასეთი აზრი მართებულია, – აცხადებს ბატონი ოთარ კანდელაკი. – წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთხელ მაინც ხომ უნდა ეთქვათ, თუ რას სთავაზობენ საქართველოს მოსახლეობას პოზიტიურს.

თავის მხრივ საქართველოს ხელისუფლებამ არაერთგზის განაცხადა, რომ სამაჩაბლოს მოსახლეობას მისცემენ იმაზე გაცილებით უფრო მაღალი დონის ავტონომიას და უფლებებს საქართველოს ფედერაციაში, ვიდრე ეს საბჭოთა ხელისუფლების დროს ჰქონდათ.

ლაპარაკია ასევე ეროვნული განათლების მიღების შეუზღუდავ უფლებაზე, და ეს მაშინ, როცა ჩრდილოეთ ოსეთის მოსახლეობა, პრაქტიკულად, რუსული და რუსულენოვანი განათლების სივრცეში იმყოფება, ფაქტობრივად, გარუსებულია.

ამ შემთხვევაში საგულისხმოა კიდევ ერთი რამ: არ შეიძლება ერთნაირი კრიტერიუმებით მივუდგეთ ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“, აფხაზეთისა და ჩეჩნეთის საკითხებს, ვინაიდან ჩეჩნეთი დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოდის მაშინ, როდესაც აფხაზეთი და ე. წ. „სამხრეთ ოსეთი“, პირიქით, რუსეთის შემადგენლობაში შესვლას მოითხოვენ.

– ასევე ძალზე მნიშვნელოვანია ოდიოზური რუსი პოლიტიკოსების მოსაზრებები, რომლებსაც ისინი ყველა მათთვის ხელსაყრელ სიტუაციაში აჟღერებენ. კერძოდ, ვლადიმერ ჟირინოვსკის აზრით, საქართველოს ორი გამოსავალი აქვს: იგი ან რუსეთის გუბერნიად უნდა იქცეს, ანდა გაუთავებლად კონფლიქტურ ვითარებაში იცხოვროს. არადა, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გამოსწორება ნებისმიერ დროს შეიძლება!

– უნდა ითქვას, რომ დასავლეთელი მეცნიერები და პოლიტოლოგები საქართველოს პოზიციას ამჟამად გაცილებით უკეთ ათვითცნობიერებენ, ვიდრე ეს წინა წლებში გამართული შეხვედრებისას იყო. კერძოდ, აღინიშნებოდა, რომ ტერმინი „ეთნიკური კონფლიქტი“ არსებულ ვითარებას სწორედ არ ასახავს. ადგილობრივი ლიდერები როგორც ცხინვალში, ასევე სოხუმში არანაირ ინტერესს არ ამჟღავნებენ ეთნონაციონალური კლასიკური ღირებულებების – ენის, განათლების, სახელმწიფოებრიობის და ა. შ. – მიმართ, არამედ ემსახურებიან რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების ანექსიის მიზნებს, რის შესაძლო განხორციელების შედეგად მათ ეროვნულ თვითმყოფადობას მართლაც საშიშროება დაემუქრება.

ამასთან, სადღეისოდ საქართველოზე არიან ფოკუსირებულნი ამჟამად დასავლეთის მაღალი ინტელექტუალური და გავლენიანი პოლიტიკური წრეები. ამით კი უფრო მეტად შესაძლებელი ხდება კონფლიქტების „გაყინული“ მდგომარეობიდან გამოყვანა და მათი მშვიდობიანი გზით გადაჭრა. კონკრეტულად, ლეიდენის კონფერენციაზე არაერთგზის გაიჟღერა, ჩემი ღრმა რწმენით, სავსებით მართებულმა აზრმა: როკის გვირაბის (და არა მარტო იქ) ორივე მხარეს ერთად უნდა დადგნენ როგორც ქართველები და ოსები, ასევე რუსები და ევროპელები.

დაბოლოს, უნდა ითქვას კიდევ ერთი რამ: მოქალაქეობრივად და პოლიტიკურად აქტიურები უნდა იყვნენ არამარტო პოლიტიკოსები, პოლიტოლოგები და მეცნიერები, არამედ მედიის წარმომადგენლებიც. ამის კარგ მაგალითს გვაძლევენ იმავე დასავლეთის ჟურნალისტები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის შესახებ მეტად აქტუალურ და კარგად გააზრებულ ანალიტიკურ მასალებს აქვეყნებენ.

**ოთარ ტურაბელიძე.**

◎ ბილიარდი

# კავკასიის გულმა გამოცდა „ფრიადზე“ ჩააბარა

**ვერის ბაღის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში დამთავრდა მობილიარდეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი – „კავკასიის თასი-2004“, რომელშიც შვიდი ქვეყნის 34 წარმომადგენელი მონაწილეობდა. შაბათ-კვირას მეოთხედფინალური, ნახევარფინალური და ფინალური ორთაბრძოლები გაიმართა.**

მეოთხედფინალში საქართველოს ნაკრების წევრმა ივა არჩვაძემ იოლად სძლია (5:2) უკრაინელ სტანისლავ პეტრიკს, სამაგიეროდ, პეტრიკის თანაგუნდელმა, 17 წლის ალექსანდრე პალამარმა ასეთივე ანგარიშით მსოფლიო ჩემპიონი ევგენი სტალევი დაამარცხა და კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას ჩამოაცილა. ამ დღეს კიდევ ერთმა უკრაინელმა სერგეი პეტრაშმა იყოჩაღა. მან რამდენიმე წუთში დააყრევინა ფარ-ხმალი (5:0) აზერბაიჯანელ რაუფ მუსტაფაევს. დამაჯერებლად იასპარეზა ყაზახმა მსოფლიო ჩემპიონმა კანიბეკ საგინდიკოვმა, რომელმაც რუს ალექსეი დენისოვს მოუგო – 5:3. სამაგიეროდ, ნახევარფინალში უკრაინის ჩემპიონატის მეორე პრიზიორ პეტრაშთან ასეთივე ანგარიშით მოუხდა დანებება და ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილება. ასევე, მესამე ადგილზე გავიდა ივა არჩვაძეც, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის პრიზიორ პალამართან წააგო – 3:5.

კვირას ფინალური ორთაბრძოლა პეტრაშის უპირატესობით დაიწყო. იგი დაწინაურდა კიდეც 2:0, მაგრამ მისმა 17 წლის ხარკოველმა მეტოქემ ზედიზედ 6 ხელი მოიგო, საბოლოოდ კი პალამარმა 7:3 გაიმარჯვა და 20-ათასიანი საპრიზო ფონდიდან 7 ათასი დოლარიც მიითვალა.

გამარჯვებული და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის მედლებით, თასებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

ასპარეზობის შემდეგ რამდენიმე მონაწილეს გავესაუბრე.

**ივა არჩვაძე, საქართველოს ნაკრების წევრი**: – ბილიარდი მამაჩემმა – ვახტანგ არჩვაძემ შემაყვარა, რომელიც საქართველოს და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო. რამდენიმე წელიწადია, მოსკოვში ვცხოვრობ და იქ ვვარჯიშობ. შარშან პეტერბურგში რუსეთის ჩემპიონატზე მესამე ადგილი დავიკავე. მიხარია, რომ ახლობლების თანდასწრებით შევძელი ნაწილობრივ მაინც წარმომეჩინა ჩემი შესაძლებლობები.

**იგორ ბარსკოვი, „პირამიდის“ საერთაშორისო კომიტეტის პრეზიდენტი:** – ჩვენი ფედერაცია 18 ქვეყნის წარმომადგენლებს აერთიანებს. გვინდა, რომ გეოგრაფია კიდევ უფრო გავაფართოოთ. რამდენიმე წელიწადია, თამაშდება ბალკანეთის, ბალტიისა და აზიის თასი. სასიხარულოა, რომ მას შეემატა „კავკასიის თასი“ და იგი ამ რეგიონის გულში გაიმართა. თბილისი ჩემი საყვარელი ქალაქია. სამხედრო მფრინავი ვარ, პოლკოვნიკი. ერთი წელიწადი ვაზიანში ვმსახურობდი. ახლოს ვიცნობ საქართველოს და ქართველებს. ახლაც ჩემი მეგობრის – ბილიარდის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის დავით ალექსიძის მხარდასაჭერად ჩამოვედი ამ შეჯიბრებაზე. „კავკასიის თასის“ გათამაშება მისთვის დიდი გამოცდა იყო და მან ეს გამოცდა „ფრიადზე“ ჩააბარა: შესანიშნავი დარბაზი, უამრავი გულშემატკივარი და მონაწილეთა საკმაოდ სოლიდური შემადგენლობა – მეტი რაღა უნდა ასპარეზობას. ამ ტურნირზე ხომ ორი მსოფლიო და ერთი ევროპის ჩემპიონი გამოდიოდა, რომ არაფერი ვთქვათ ექსჩემპიონებსა და საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულებზე.

მინდა გაუწყოთ, რომ „კავკასიის თასის“ გათამაშება უკვე ჩვენი კომიტეტის საგაისო კალენდარში შევიტანეთ.

**– ქართველ მობილიარდეებზე რას იტყვით?**

– „პირამიდაში“ თქვენ ყოველთვის გყავდათ ძლიერი მოთამაშეები. დღეს მათს ტრადიციებს ღირსეულად გა-



აგრძობენ ახალგაზრდები. თუნდაც ის ფაქტი, რომ ივა არჩვაძემ მესამე ადგილი დაიკავა ამ ტურნირზე, ხოლო დავით ფიფიამ მსოფლიო ჩემპიონი ევგენი სტალევი დაამარცხა, ძალიან ბევრს ნიშნავს. ძლიერები არიან, მაგრამ გამოცდილება აკლიათ. საამისოდ კი ტურნირებში მონაწილეობაა საჭირო. ჩვენი კომიტეტი ყოველმხრივ დაუჭერს მხარს საქართველოს ბილიარდის ფედერაციას.

წლეულს 7-11 დეკემბერს მოსკოვში მსოფლიო ჩემპიონატზე თქვენი ქვეყნიდან ორ სპორტსმენსა და ამდენივე მსაჯს მოვიწვევთ, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ბილიარდის პოპულარიზაციას და განვითარებას. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა დავით ალექსიძეს ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მაღალ დონეზე გამართვისათვის, ქართველ გულშემატკივრებს კი – აქტიური ქომაგობისთვის.

**დავით ალექსიძე, საქართველოს ბილიარდის ფედერაციის პრეზიდენტი:** მართლაც კარგი ტურნირი გამოვიდა. ყოველმხრივ ვეცადეთ, თავი არ შეგვერცხვინა. თუმცა, მარტო ჩვენი ფედერაცია ვერაფერს გახდებოდა, საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და თბილისის მერია რომ არ დაგვხმარებოდა. მომავალშიც მათი და ბიზნესმენების თანადგომის იმედი გვექნება. მით უმეტეს, რომ საერთაშორისო კომიტეტის კალენდარით „კავკასიის თასი“ გაისად თბილისში 22-25 სექტემბერს გაიმართება.

**– სამომავლოდ რას გეგმავთ?**

– ოქტომბრის შუა რიცხვებში საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა გვექნება, მერე ეროვნულ ჩემპიონატს გავმართავთ „პირამიდაში“. ნოემბრის მიწურულს შესარჩევ ტურნირზე გაირკვევა იმ მობილიარდის ვინაობა, ვინც ივა არჩვაძესთან ერთად 7-11 დეკემბერს მოსკოვში მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებს.



ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

**სურათებზე: დავით ალექსიძე და იგორ ბარსკოვი; „კავკასიის თასის“ საპატიო კვარცხლბეკზე.**
**რობერტ ბაზოიანის ფოტო.**

◎ სიტუაცია

# ნაცნობი ფირფიტა

**ქართულ ფეხბურთში კიდევ ერთხელ აირია მონასტერი – მაშინ, როცა ქვეყნის ეროვნული ნაკრები, პირველად დამოუკიდებლობის პერიოდში, „მუნდიალ-2006“-ის შესარჩევი ქვეჯგუფის ლიდერია და ორ კვირაში ლვოვში უმნიშვნელოვანესი მატჩი ელის უკრაინელებთან, სფფ-ს დიდმოხელეთა შორის ოთხი თვის წინათ დაწყებული შინაომი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა და კაცმა არ იცის, როგორ განვითარდება მოვლენები.**



თავდაპირველად გაუწყებთ, რომ ერთმანეთს სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და აწ უკვე ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი (იგივე გენერალური მდივანი) ანდრო აბაშიძე დაუპირისპირდნენ, კვირის რაუნდი კი სფფ-ს აღმასკომის მიერ ამ უკანასკნელის სამსახურიდან გათავისუფლებით, ახალი პოსტის – ფედერაციის პირველი ვიცეპრეზიდენტის – აღმასრულებელი დირექტორის შემოღებით და ამ თანამდებობაზე სფფ-ს ყოფილი გენერალური მდივნის ვალერი ჩოლარიას დამტკიცებით დასრულდა (იგი 7 თვის შემდეგ დაუბრუნდა სფფ-ს).

ბუნებრივია, შექმნილ არაორდინარულ ვითარებაში თითოეულ მხარეს გააჩნია სათანადო არგუმენტებით გამყარებული საკუთარი პოზიცია. მოდით, საქმის არსში უკეთ გასარკვევად მოვუსმინოთ მთავარ მოქმედ პირებს:

**მერაბ ჟორდანია** – ამჯერად მხოლოდ განცხადებით შემოვიფარგლები, პრესკონფერენციას კი უახლოეს მომავალში გავმართავ. მოგეხსენებათ, რომ ფედერაციაში სტრუქტურულ ცვლილებებს ვანხორციელებთ. აღმასკომის დღევანდელ სხდომაზე ახალ – სფფ-ს პირველი ვიცეპრეზიდენტის – აღმასრულებელი დირექტორის პოსტზე ვალერი ჩოლარია დავამტკიცეთ.

**ანდრო აბაშიძე** – აღმასკომის დღევანდელი სხდომა ნორმატიული აქტების დარღვევით მოეწყო, ამიტომ იქ მიღებული გადაწყვეტილებები აუცილებლად გასაჩივრდება სასამართლოში. მხოლოდ ორ დარღვევაზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: ფედერაციის წესდებით, სხდომის დღის წესრიგი აღმასკომის ყველა წევრს სამი დღით ადრე უნდა მიაწოდონ, ჩემთვის კი არავის უთქვამს, თუ დღეს აღმასკომის სხდომა იყო მოწვეული. გარდა ამისა, აღმასკომის 23 წევრიდან მას მხოლოდ 11 ესწრებოდა, გადაწყვეტილების მისაღებად კი აუცილებელია, სულ მცირე, ნახევრის დასწრება.

... 30 აგვისტოს უეფადან ფედერაციაში წერილი მოვიდა, სადაც გვატყობინებდნენ, რომ უეფამ საქართველოს ყველანაირი დახმარება და ყველა პროექტის დაფინანსება შეუწყვიტა. საქმე ისაა, რომ უეფას შესაბამის კომიტეტს მე ვაცნობე, ფედერაციისგან თქვენთვის მოთხოვნილი თანხა გაბერილია-თქო. მაგალითად, როცა სფფ-ს წარდგენილ პროექტში წერია, რომ უეფას გრანტით 50 მინი-მოედანს ავაშენებთო, სინამდვილეში გამოყოფილი თანხით 20 მინი-მოედანს ააშენებს. მოკლედ, ჩემი სიტყვების შემდეგ უეფამ სფფ-ს დახმარება შეუწყვიტა და პროგრამის აღსადგენად ახსნა-განმარტება მოითხოვა, რაზეც უნდა ყოფილიყო ჩემი და მერაბ ჟორდანიას ხელმოწერა. ჟორდანია პოზიციებს არ თმობდა და უეფას პროგრამის აღსადგენად ახსნა-განმარტებასაც უგზავნიდა, თუმც მე ამის წინააღმდეგი ვიყავი, პრეზიდენტს პოზიციის შეცვლისკენ მოვუწოდე და არც თავად დავთმე. მიმაჩნია, რომ ის გზა, რომელსაც სფფ ადგას, ქართულ ფეხბურთს ჩიხში მოაქცევს. იმედი მაქვს, სასამართლოს შემდეგ ავტომატურად აღდგენილი ვიქნები ჩემს ყოფილ პოსტზე და დანარჩენსაც მერაბ ჟორდანიასთან მოლაპარაკების შემდეგ გავარკვევ. საერთოდ, უნდა გადაიხედოს სფფ-ს ამჟამინდელი საქმიანობა... კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში ყველაფერი დაწვრილებით იციან და, ვფიქრობ, ჩემს ბანაკში იქნება ყველა, ვისაც ქართული ფეხბურთის ბედი აღარდებს... აქამდე არ მსურდა ჟორდანიასთან დაპირისპირების გახმაურება, ეს გამოიწვევდა ვითარების გამძაფრებას და საქართველოს ნაკრების თამაშებზეც იმოქმედებდა... ჟორდანიას რამდენჯერმე ვთხოვე ფედერაციის მიერ ფირმებთან თუ კომპანიებთან გაფორმებული კონტრაქტების ჩვენება, მაგრამ უარს მეუბნებოდა. სფფ-ში არის ერთი სატელევიზიო კონტრაქტი, მაგრამ მისი პირობები არ სრულდება. რეალურად, არსებობს მეორე კონტრაქტიც. სულ სხვა ხელშეკრულებაა ფედერაციაში, საქმით კი სხვა კეთდება.

**ვალერი ჩოლარია** – ფედერაციაში დაბრუნების კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მერაბ ჟორდანია სტოკჰოლმიდან, უეფას კონგრესიდან ჩამოვიდა და უეფას წერილი ვნახე, სფფ-ს ყველანაირი დახმარება შეუწყდაო, თბილისში შევხვდი უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების პროგრამის კურატორს, ბატონ ვალერი ჩუხრის და გადაწყვეტილება შევცვალე. მხოლოდ და მხოლოდ ქართული ფეხბურთის ინტერესებიდან გამომდინარე დავბრუნდი ფედერაციაში. ახლა არ არის დაპირისპირების დრო. ქართულ ფეხბურთს, საქართველოს ნაკრებს პერსპექტივა გაუჩნდა. ურთიერთწყენა ყველამ უნდა დაივიწყოს და საერთო საქმე აკეთოს. დღესდღეობით შეჩერებულია ყველა პროგრამა, რითაც ფიფა-უეფა საქართველოს ეხმარება –„ჰეთ-თრიქი“, „გოლი“, „გოლი-2“. რატომ შეჩერდა დახმარება, არ ვიცი, ის კი ვიცი, რომ სამშაბათს (ე. ი. დღეს – **რედ.**) შვეიცარიაში მივფრინავ და იქ ფიფა-უეფას წარმომადგენლებს შევხვდები. ხუთ ოქტომბერს დავბრუნდები და შედეგებზე მერე ვილაპარაკოთ... ყველაფერს გავაკეთებ იმ პროგრამების აღსადგენად, რომელთა საშუალებითაც საქართველო მნიშვნელოვან დახმარებას იღებდა. ...აღმასკომის დღევანდელმა სხდომამ საერთოდ გააუქმა ვიცეპრეზიდენტებისა და გენმდივნის თანამდებობები და სანაცვლოდ ერთი დაამტკიცა – პირველი ვიცეპრეზიდენტი – აღმასრულებელი დირექტორი. სწორედ ესაა ჩემი ახალი თანამდებობა, რაც უფლებას მაძლევს, პრეზიდენტის არყოფნისას გადაწყვეტილებები ერთპიროვნულად მივიღო. ცხადია, აღმასკომის კომპეტენციაში ჩაურევლად... ორ თვეში სტრუქტურულ-საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით. თუმც ერთს ახლავე გეტყვით, ფედერაციის შტატები გაბერილია და შემცირება ბევრს შეეხება.

**გიორგი სულხანიშვილი** (კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე) – ჩვენი სამინისტრო სფფ-ს საშინაო საქმეებში, რა თქმა უნდა, ვერ ჩაერევა, თუმცა მიგვაჩნია, რომ აღმასკომის გადაწყვეტილება ქართულ ფეხბურთში ბოლო დროს გაჩენილ სასიკეთო ტენდენციებს ეწინააღმდეგება და უკან გადადგმული ნაბიჯია...

*ეს, ასე ვთქვათ, პროლოგი. როგორც იტყვიან, გაგრძელება იქნება.*

**გია პლატონიშვილი.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ზუგდიდის რაიონის გამგეობა, მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, აცხადებს ორეტაპიან ორწლიან ღია ტენდერს ქ. ზუგდიდის განვითარების გენერალური გეგმის შედგენის მიზნით საპროექტო სამუშაოების შესასყიდად.

**პროგრამის მიზანია:** ქ. ზუგდიდის განვითარების გენერალური გეგმის შედგენა.

2. პროგრამის შედგენის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ღირებულების გარეშე) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინოთ განცხადების გამოქვეყნებიდან 15 კალენდარული დღის მომდევნო 10 დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას.

**4.1. იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობას სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, რეაბილიტაციის ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

**4.2. ფიზიკური პირებისათვის:**

ა) ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შსს-ს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

**4.3. დამატებითი მოთხოვნები და ინფორმაცია:**

ა) უნდა გააჩნდეს ლიცენზია საპროექტო სამუშაოების შესრულების დარგში საქმიანობის შესახებ;

ბ) ინფორმაცია სათანადო ტექნიკური შესაძლებლობებისა და გამოცდილების შესახებ;

გ) აუდიტის დასკვნა ფინანსური მდგომარეობის შესახებ;

დ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანებების შესახებ;

ე) აღნიშნული მომსახურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს საექსპერტო კომისიის დადებითი დასკვნა.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირების მიერ, პირველადი სატენდერო წინადადების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნები, რის შესაბამისადაც წარმოდგენილი უნდა იქნას ზოგადი მონაცემები საპროექტო სამუშაოების შესახებ ღირებულების გარეშე.

კერძოდ:

– პრობლემის დახასიათება, მიზნები და ამოცანები;

– შესრულების ვადები (შემსყიდველი ორგანიზაციის წინაშე საშუალედო ანგარიშებისათვის შესრულებული სამუშაოს წარმოდგენით);

– შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლის მექანიზმი;

– ადგილობრივი სპეციალისტების გამოყენების შესაძლებლობა;

– ასევე სხვა ინფორმაცია, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის პრეტენდენტი.

7. პირველადი და საბოლოო სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას წარედგინება დახურული კონვერტებით.

8. პირველადი სატენდერო წინადადებების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ მათი შესაბამისობა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებთან და არ გამოიყენება მათი ქულებით შეფასების წესი.

9. პრეტენდენტის კვალიფიკაცია მიენიჭებათ ტენდერში მონაწილეობის მსურველ იმ პირებს, რომელთა მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები აკმაყოფილებენ მე-4 მუხლის მოთხოვნებს. საკვალიფიკაციო შერჩევა და პირველადი წინადადებების შეფასება დამთავრდება საკვალიფიკაციო მონაცემების მიღების დამთავრებიდან 5 დღის ვადაში.

10. სატენდერო კომისია მეორე ეტაპზე მოიწვევს მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული პირველადი სატენდერო წინადადებებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

11. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერის მეორე ეტაპზე მოწვეულ პრეტენდენტებს, 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ მისამართზე: ზუგდიდი, რუსთაველის 90, ზუგდიდის რაიონის გამგეობა.

სატენდერო დოკუმენტაციის გადაცემის კონკრეტული ვადა პრეტენდენტებს ეცნობებათ საკვალიფიკაციო შერჩევის შედეგებთან ერთად, შერჩევიდან არა უმეტეს 5 დღის ვადაში. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

დაგვიანებით შემოსული განცხადებები, საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადებები არ განიხილება და უბრუნდება წარმომდგენ პირებს. ინსტრუქციას პირველადი სატენდერო წინადადებების შედგენის თაობაზე მსურველები მიიღებენ დაუყოვნებლივ განცხადების წარმოდგენისთანავე.

12. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: **ვასო ფარცვანია,** სატენდერო კომისიის წევრი, საკონტაქტო ტელეფონები 877 44-84-45; 5-01-20; მისამართზე ქ. ზუგდიდი, რუსთაველის 90, ოთახი №6, ზუგდიდის რაიონის გამგეობა.

**სატენდერო კომისია.**

შესწორება

## ცვლილება-დამატება

**2004 წლის 25 სექტემბრის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ №223-ში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ „ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციის და ეპიდკონტროლის“ 2004 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში „სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკის“ პროგრამის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე გამოქვეყნებული იქნა განცხადება, სადაც ლოტი 6 უნდა იყოს შემდეგნაირად ჩამოყალიბებული: აივ ინფექცია/შიდსის ეპიდზედამხედველობის ორგანიზაცია, განხორციელება და პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველყოფა.**

◎ ფეხბურთი

# ევროპის სტადიონებზე

**იტალია. IV ტური.** „ლაციო“ – „მილანი“ 1:2, „ლეჩე“ – „კალიარი“ 3:1, „იუვენტუსი“ – „პალერმო“ 1:1, „ინტერი“ – „პარმა“ 2:2, „ბოლონია“ – „რომა“ 3:1, „ფიორენტინა“ – „სამპდორია“ 0:2, „ლივორნო“ – „ატალანტა“ 1:1, „მესინა“ – „კიევო“ 0:0, „უდინეზე“ – „ბრეშია“ 1:2, „სიენა“ – „რეჯინა“ 0:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „იუვენტუსი“ – 10, „ლეჩე“, „მესინა“ – 8-8, „მილანი“, „ლაციო“ – 7-7 ქულა.

**ბომბარდირები:** ტრეზეგე („იუვენტუსი“), ბოჟინოვი („ლეჩე“), მონტელა („რომა“) – 4-4 გოლი.

**შემდეგ ტურში ითამაშებენ:** „ატალანტა“ – „ლაციო“, „კალიარი“ – „ბრეშია“, „კიევო“ – „ლეჩე“, „მესინა“ – „სიენა“, „მილანი“ – „რეჯინა“, „პალერმო“ – „ბოლონია“, „პარმა“ – „ფიორენტინა“, „რომა“ – „ინტერი“, „სამპდორია“ – „ლივორნო“, „უდინეზე“ – „იუვენტუსი“.

**ესპანეთი. V ტური.** „მალიორკა“ – „ბარსელონა“ 1:3, „ბილბაო“ – „რეალი“ 2:1, „ატლეტიკო“ – „ვილიარეალი“ 1:0, „დეპორტივო“ – „ბეტისი“ 1:1, „სარაგოსა“ – „ლევანტე“ 4:3, „ესპანიოლი“ – „მალაგა“ 1:0, „ოსასუნა“ – „ხეტაფე“ 2:1, „ნუმანსია“ – „ალბასეტე“ 0:0, „სევილია“ – „სოსიედადი“ 2:1, „ვალენსია“ – „რასინგი“ 2:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ვალენსია“, „ბარსელონა“ – 13-13, „ესპანიოლი“, „ატლეტიკო“, „სარაგოსა“, „სევილია“, „ოსასუნა“ – 10-10 ქულა.

**ბომბარდირები:** ეტოო („ბარსელონა“), მილოშევიჩი („ოსასუნა“) – 5-5 გოლი.

**შემდეგ ტურში ითამაშებენ:** „ალბასეტე“ – „ესპანიოლი“, „ბარსელონა“ – „ნუმანსია“, „ბეტისი“ – „ვალენსია“, „რასინგი“ – „სევილია“, „რეალი“ – „დეპორტივო“, „სოსიედადი“ – „ატლეტიკო“, „ხეტაფე“ – „ბილბაო“, „ლევანტე“ – „მალიორკა“, „ვილიარეალი“ – „სარაგოსა“, „მალაგა“ – „ოსასუნა“.

**ინგლისი. VII ტური.** „სიტი“ – „არსენალი“ 0:1, „ლივერპული“ – „ნორვიჩი“ 3:0, „მიდლსბრო“ – „ჩელსი“ 0:1, „ბოლტონი“ – „ბირმინგემი“ 1:1, „ტოტენჰემი“ – „მანჩესტერი“ 0:1, „ასტონ ვილა“ – „კრისტალ პალასი“ 1:1, „ნიუკასლი“ – „ვესტ ბრომვიჩი“ 3:1, „ფულჰემი“ – „საუთჰემპტონი“ 1:0, „პორტსმუთი“ – „ევერტონი“ 0:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „არსენალი“ – 19, „ჩელსი“ – 17, „ევერტონი“ – 16, „ბოლტონი“, „მანჩესტერი“ – 12-12 ქულა.

**ბომბარდირები:** ანელკა („სიტი“), რეიესი, ანრი (ორივე „არსენალი“) – 5-5 გოლი.

**შემდეგ ტურში ითამაშებენ:** „საუთჰემპტონი“ – „სიტი“, „არსენალი“ – „ჩარლტონი“, „ბირმინგემი“ – „ნიუკასლი“, „ბლექბერნი“ – „ასტონ ვილა“, „ევერტონი“ – „ტოტენჰემი“, „მანჩესტერი“ – „მიდლსბრო“, „ნორვიჩი“ – „პორტსმუთი“, „ვესტ ბრომვიჩი“ – „ბოლტონი“, „ჩელსი“ – „ლივერპული“, „კრისტალ პალასი“ – „ფულჰემი“.

**გერმანია. VI ტური.** „ჰანოვერი“ – „შალკე“ 1:0, „ბაიერნი“ – „ფრაიბურგი“ 3:1, „ბოხუმი“ – „ვერდერი“ 1:4, „შტუტგარტი“ – „ლევერკუზენი“ 3:0, „გლადბახი“ – „ჰანზა“ 2:2, „ვოლფსბურგი“ – „კაიზერი“ 2:1, „ნიურნბერგი“ – „ბილეფელდი“ 1:2, „მაინცი“ – „ბორუსია“ 1:1, „ჰამბურგი“ – „ჰერტა“ 2:1.



**ლიდერთა ჯგუფი:** „ვოლფსბურგი“ – 15, „შტუტგარტი“ – 14, „ვერდერი“ – 12, „ბაიერნი“ – 11 ქულა.

**ბომბარდირები:** ევერტონი („ბორუსია“), კლოზე („ვერდერი“), ნოივილი („გლადბახი“) – 5-5 გოლი.

**შემდეგ ტურში ითამაშებენ:** „კაიზერი“ – „ჰერტა“, „ფრაიბურგი“ – „მაინცი“, „ბორუსია“ – „ნიურნბერგი“, „ბილეფელდი“ – „შტუტგარტი“, „ლევერკუზენი“ – „ჰამბურგი“, „ვოლფსბურგი“ – „გლადბახი“, „ჰანზა“ – „ჰანოვერი“, „შალკე“ – „ბოხუმი“, „ვერდერი“ – „ბაიერნი“.

**საფრანგეთი. VIII ტური.** „ლიონი“ – „მონაკო“ 0:0, „ლილი“ – „მეცი“ 4:0, „ბორდო“ – „ტულუზა“ 1:1, „ოსერი“ – „ისტრი“ 0:0, „აიაჩო“ – „კაენი“ 2:2, „მარსელი“ – „ბასტია“ 1:0, „ნიცა“ – „რენი“ 2:0, „პსჟ“ – „სტრასბური“ 1:0, „სოშო“ – „სენტ ეტიენი“ 2:1, „ნანტი“ – „ლანსი“ 1:0.

**ლიდერთა ჯგუფი:** „მონაკო“ – 17, „ლილი“, „ლიონი“ – 16-16 ქულა.

**რუსეთი. XXIV ტური.** ცსკა – „ლოკომოტივი“ 0:1, „რუბინი“ – „დინამო“ 2:2, „როტორი“ – „როსტოვი“ 3:2, „ტორპედო“ – „კრილია“ 0:1, „ამკარი“ – „სპარტაკი“ 0:2, „სატურნი“ – „ყუბანი“ 2:1, „მოსკოვი“ – „ალანია“ 0:0, „შინიკი“ – „ზენიტი“ 2:1.

**ლიდერთა ჯგუფი:** „ზენიტი“ – 48, ცსკა – 46, „ლოკომოტივი“ – 45 ქულა.

ალბომი

# ყველას რამე აქვს სახსოვარი



სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილების 1986 წლის ივნისის გამოშვების ერთ-ერთი ჯგუფი.

მარცხნიდან: რამაზ გეწაძე, ომარ ახვლედიანი, მამია ცინცაძე, გურამ ქებურია, ტარიელ კანკია, გერმანე ქურასბედიანი, რეზო ელბაქიძე, ბედიან ქვანია, დაზმირ გელენავა, როლანდ ველიკოშვილი.

მოგვაწოდა კურსდამთავრებულმა დაზმირ გელენავამ.

გიხაროდეთ!

# ქეთევანზე უკვე ამბობენ: „ქალი ვარ, მქვია ქალთამზე"



[illegible]ან დაკავშირება გამიჭირდა.. 99-34-04 ან დაკავებული იყო, ან კიდევ ყურმილს არავინ იღებდა. ამიტომ ახლა გაცნობებთ ჩემი მეზობლის სიხარულს. კიტოვანების გოგონა უკვე ერთი თვის ხდება (ხომ გსმენიათ, „მეზობელო კარისაო", ჩვენ კარგი მეზობლობა გვაქვს); გვინდა გოგონას დაბადება „გიხაროდენში" აღინიშნოს. გაზეთს შეინახავენ. ეს მათი მეოთხე შვილია. გოგონა ნაბოლარააო, ვერ ვიტყვით, დედამისი დარეჯანი ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელია და უფალი რამდენსაც ინებებს, იმდენს გააჩენს.

ბავშვი ჯანმრთელია, თან ლამაზი (ჩვენ ასე გვეჩვენება), გათქმევინებს „ნეტა რა დედამ გაგზარდა, ასეთი მშვენიერიო?" მამამისი ერთი თვის გოგონას სულ სიმღერით ეფერება „ქალი ვარ, მქვიან ქალთამზე". უფროსმა ძმებმა (სამნი არიან) გოგონას ლამის შინაურ სახელად ქალთამზე დაარქვეს, მგონი შერჩება კიდეც ეს სახელი.

დაგირეკეთ, რადგან დარწმუნებული ვარ, მეზობლების სიხარულსაც გაიზიარებთ. წინასწარ მადლობას გიხდით! – დაგვიკავშირდა დედაქალაქის მუხიანის დასახლებიდან ოთარ ობოლაძე და კარის მეზობლის – ბიჭიკო კიტოვანის ოჯახის სიხარული გვამცნო.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ცოტაც გავიღიმოთ...



აბანოს მაღალ თაროზე მოხუცი ქალი წევს. დაბლა ქალიშვილობაში ახალშესული გოგო იბანს ტანს, ნაზად ისვამს საპონს გლუვ კანზე, ესიყვარულება საკუთარ სილამაზეს.

– ლამაზი ხარ, გოგონი, ძალიან ლამაზი, – ეუბნება მოხუცი.

– კი, ლამაზი ვარ, – კეკლუცობს გოგო.

– ბიჭები, ალბათ, ბუზებივით გეხვევიან და ვერ იგერიებ, არა?

– კი, მეხვევიან, – უფრო აკეკლუცდა გოგო.

– შენ კი არავის არ ნებდები, არა?

– რა თქმა უნდა, არა, – ამაყად უპასუხებს გოგო.

– ოი, ბოლოს როოოგორ ინანებებ გოგონი...

* * *

მიმდინარეობს ტელეშოუ „სუსტი რგოლი". წამყვანი სვამს კითხვას:

– რა ჰქვია ადამიანს, რომელიც მამაკაცთან წევს?

– ჰომოსექსუალისტი.

– ეს არასწორი პასუხია. სწორი პასუხია ქალი.

* * *

– მითხარით, გეთაყვა, ღმერთი არის?

– არა.

– როდის იქნება?

* * *

იცით თუ არა, რომ ქალიშვილის გულს ყველაზე უკეთ ახალი „მერსედესის" გასაღები აღებს?

* * *

– მალე გათავდება ნავთობი, გაზი, ლითონი. ალბათ, ცუდად ვიცხოვრებთ, არა?

– რატომ? ვიცხოვრებთ ისე, როგორც ადრე: ნატურალური ბეწვეული, ქვები...

ლარის კურსი

28 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.3674 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.8651 ლარი |
| ევრო | 1 | 2.2875 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0638 ლარი. |

ახალი სეზონი: გეგმები, ფიქრები

# როგორ უშველა ბადრი პატარკაციშვილმა ცირკის შენობას



**თბილისის ცირკი ყოფილ საბჭოთა კავშირში ყველაზე ლამაზ ცირკის შენობად ითვლებოდა. მსახიობებისთვის პრესტიჟული იყო თბილისში საგასტროლოდ ჩამოსვლა. სანამ არსებობდა გაერთიანება „სოიუზგოსცირკი", ყველაფერი ჩვეულებრივ კალაპოტში მიდიოდა.**

მერე საქართველოში ისეთი ამბები დატრიალდა, ცირკისთვის აღარავის ეცალა. უყურადღებობამ და უსახსრობამ შენობა სავალალო მდგომარეობამდე მიიყვანა. რომ არა ბადრი პატარკაციშვილის კეთილი ნება, ალბათ ეს მძიმე ხანა დიდხანს გაგრძელდებოდა. 2002 წელს დაიწყო სრულყოფილი რემონტი. საძირკველი გამაგრდა, წყალგაყვანილობა და ელექტროქსელი შეიცვალა, დაიდგა კონდიციონერები და გათბობა, გახმოვანების, განათების ახალი აპარატურა და ახალი ავეჯი, საგრიმიორო ოთახების რაოდენობა გაიზარდა. განახლებულმა ცირკმა 2003 წლის 24 ოქტომბერს სეზონი გახსნა.

რას შემოგვთავაზებს თბილისის ცირკი წელს და როდის გაიხსნება ახალი სეზონი?

ამის შესახებ გვესაუბრება გენერალური დირექტორის მოადგილე ბატონი **დათო გომართელი: – ხმამაღლა ნათქვამი არ იქნება, თუ ბატონ ბადრის გადავუხდით მადლობას იმისთვის, რომ საქართველოს ეს უნიკალური შენობა შეუნარჩუნა.**

**ივნისის შუა რიცხვებიდან დავიწყეთ მზადება ახალი სეზონისთვის. შენობას ყოველთვის სჭირდება ხელის შევლება, მით უმეტეს, როდესაც დატვირთვით მუშაობს. ამდენად, პატარა სარემონტო სამუშაოები ჩავატარეთ. საერთოდ, სეზონს ვხსნით სკოლებში სწავლის დაწყებიდან 10-15 დღის შემდეგ. ასე რომ, 1 ოქტომბრიდან ველით ყველას – პატარებსაც და დიდებსაც. რუსეთის საუკეთესო საცირკო კოლექტივი ჩამოგვყავს.**

**წლეულს ატრაქციონში იქნება ხუთი კონტინენტის 89 დასახელების ცხოველი. პროგრამის ხელმძღვანელია ჩვენი აღზრდილი, ქართველი მომთვინიერებელი გია ერაძე, რომელიც ფანატიკურადაა შეყვარებული ცირკზე და ცხოველებზე. 6 წლის წინათ იგი რუსეთში სამუშაოდ წავიდა. იქ მან გაამდიდრა თავისი ნომერი და ახლა გია ერაძის ატრაქციონით – „ხუთი კონტინენტი" – ვხსნით სეზონს. მეორე განყოფილება მთლიანად მას მიჰყავს. მსახიობების დასვენებისა და მომზადებისთვის საუკეთესო პირობები გვაქვს. ისინი ცირკის შენობაში იცხოვრებენ. ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდის მეშვეობით ყოველ წარმოდგენას 60-70 ბავშვი უფასოდ ესწრება. ესენი არიან ინვალიდები, მზრუნველობას მოკლებულები, მიუსაფრები, ლტოლვილები, აფხაზეთში დაღუპული მეომრების შვილები. მათ ემსახურებათ ავტობუსები. ჩვენი სურვილია, ყველა ბავშვს მივანიჭოთ სიხარული.**






ესაუბრა
**ნანული ზოტიკიშვილი.**

# პრემიერით დაიწყეს...

**ახალი სეზონის პირველი პრემიერა შესთავაზა მაყურებელს თეატრმა „ვერიკომ". ოთარ პირტახიას პიესით „ლიფტში" ორი დებიუტი შედგა. მსახიობი მალხაზ აბულაძე პირველად იდგა ამ სცენაზე და დრამატურგ ოთარ პირტახიას პირველი პიესა დაიდგა თეატრში. პატარა სცენაზე ცხოვრება ისევე სისხლსავსედ მიდის, როგორც ეს კოტე მახარაძის დროს იყო. სასიხარულოა, რომ არსებობს კოტე მახარაძის სპექტაკლების ვიდეოჩანაწერები. კარგი იქნება, თუ ბევრი მოსწავლე ნახავს ამ სპექტაკლებს, რადგან ისინი საგანმანათლებლო ფუნქციასაც ითავსებენ ხელოვნებასთან ერთად. წინა სეზონში დაწყებულ საინტერესო მუსიკალურ საღამოებს, რომლებსაც გოგი ნიჟარაძე უძღვებოდა, წელსაც იხილავს მაყურებელი.**

სეზონის გახსნის დღე ყოველთვის გამორჩეულია მსახიობისთვის, გვესაუბრება თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი:

– ეს არის დღესასწაული, მით უმეტეს კოტეს თეატრში, იმ თეატრში, სადაც ახლა ყველაფერზე მე ვარ პასუხისმგებელი. ვცდილობთ, რომ ის სიმაღლე, რასაც კოტემ მიაღწია, შევინარჩუნოთ და გავაგრძელოთ. დღევანდელი წარმოდგენა კარგია, მაგრამ განსაკუთრებით მომწონს მსახიობი მალხაზ აბულაძე, რომელიც ძალიან ნიჭიერია. თეატრს ემატება ახალი ძალები, მოდიან ახალგაზრდები. ჩვენ ბევრი გეგმა გვაქვს, მაგრამ ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ მსახიობებს არ უყვართ წინასწარ საუბარი. ამ სეზონში 2 ან 3 ახალი სპექტაკლი შეგიძლიათ ნახოთ. რამდენიმე დღის წინ მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. მთაწმინდაზე 30 წლის შემდეგ ვერიკოს და მიხეილ ჭიაურელის საფლავები შეერთდა. იცით, რომ მიხეილ ჭიაურელი კინოსტუდიის ეზოში იყო დაკრძალული. ველოდებით და იმედი გვაქვს, რომ მალე თეატრი „ვერიკო" აქვე, ახალ შენობაში დაიდებს ბინას.



სპექტაკლის „ლიფტში" დამდგმელი რეჟისორი გიორგი სიხარულიძე: მე და მალხაზი ინსტიტუტში სწავლის პერიოდიდან ვიცნობთ ერთმანეთს. ჩვენი პედაგოგი ბატონი მიშა თუმანიშვილი მას ერთ-ერთ უნიჭიერეს მსახიობად თვლიდა. მალხაზი ბათუმელია და წლების განმავლობაში ბათუმის თეატრში მუშაობდა. მიხარია, რომ ასეთი ნიჭიერი კაცი თბილისს დაუბრუნდა. დარწმუნებული ვარ, თეატრში ის თავის სიტყვას იტყვის. მუშაობის პროცესზე შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ ერთ ენაზე ვსაუბრობდით, ამდენად, რეპეტიციები საინტერესოდ მიდიოდა. მე აუცილებლად ვიმუშავებ მასთან სხვა სპექტაკლზეც.

ნოემბრის ბოლოს თეატრის დასი სანკტ-პეტერბურგში მიდის საგასტროლოდ. თითქმის სრული რეპერტუარი მიაქვთ. სპექტაკლები გაიმართება გიორგი ტოვსტონოგოვის თეატრში ანუ „ბდტ"-ში. ეს მსახიობების ღელვას უფრო აძლიერებს. ვუსურვოთ მათ წარმატებები.

**ნანული მთიულიშვილი.**

**ხათარ ლომაძის ფოტოები.**

**სურათზე: სცენა სპექტაკლიდან. მსახიობი მალხაზ აბულაძე.**

ჭადრაკი

# სტარტი შვეიცარიაში

შეიძლება დავასახელოთ, ასე, ხუთი კაცი, რომლებიც შეიძლება ჭადრაკში მსოფლიო მოქმედ ჩემპიონებად მივიჩნიოთ. მაგალითად, გარი კასპაროვი, ბოლო ჩემპიონი მანამდე, სანამ შავთეთრ სამეფოში „მონასტერი აირეოდა", არაოფიციალური ვერსიით, გარიმ ტახტი ვლადიმერ კრამნიკთან წააგო. ფიდეს ვერსიით, გვყავანან „მარადიული" ჩემპიონი ანატოლი კარპოვი და, აგრეთვე, ორი ნაკლებად ცნობილი დიდოსტატი, რომლებმაც ბოლო წლებში „მსოფლიოს ჩემპიონატად" წოდებული უცნაური ტურნირი მოიგეს – უკრაინელი პონომარიოვი და უზბეკი კასიმჯანოვი, კიდევ... რამდენიმე კომპიუტერია, აგრეთვე, მსოფლიო ჩემპიონებად რომ მიიჩნევენ თავს.

10 წელზე მეტია, ვერ ხერხდება ამ სამყაროში წესრიგის დამყარება. როგორც იქნა, 25 სექტემბერს გადაიდგა პირველი ნაბიჯი: შვეიცარიის ქალაქ ბრისაგოში დაიწყო და 18 ოქტომბერს დასრულდება მატჩი ვლადიმერ კრამნიკსა და პეტერ ლეკოს შორის. მეტოქენი 14 პარტიას გაითამაშებენ.

გამარჯვებული მსოფლიოს ახალ, ალტერნატიულ ჩემპიონად გამოცხადდება, შემდეგ კი გამაერთიანებელ მატჩში თამაშის უფლებას მოიპოვებს თუ, რა თქმა უნდა, ასეთი რამ ოდესმე შედგება. საქმე ისაა, რომ დიდოსტატები, მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ როდი ჩქარობენ ვინმესთან ამ წოდების გაყოფას, მით უფრო, დაკარგვას.

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა 2 ტური. თეთრებით მოთამაშე ლეკომ პირველი პარტია დათმო, მეორე ორთაბრძოლა კი ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, დაწინაურდა ვლადიმერ კრამნიკი – 1,5:0:5.

ხსოვნა

## ლეონიდე ქვარცხავა



გარდაიცვალა დამსახურებული ინჟინერი, ტრანსპორტის საპატიო მშენებელი ლეონიდე ლევანის ძე ქვარცხავა.

დაიბადა 1926 წელს ქ. ზუგდიდში, 1948 წელს, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, მუშაობა დაიწყო საკავშირო დაქვემდებარების ტრანსპორტის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტში „კავსახტრანსპროექტში", სადაც ღირსეულად განვლო გზა რიგითი ინჟინრიდან ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობამდე.

მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით დაპროექტდა და აიგო უნიკალური ობიექტები კავკასიასა და მის ფარგლებს გარეთ. ახალი ელექტროფიცირებული რკინიგზები: კრასნოდარი-ტუაფსე, ბატაისკი-სტარომინსკაია, იჯევანი-რაზდანი, ევლახი-ბელაქანი, მარაბდა-ახალქალაქი, ზუგდიდი-ჯვარი; მეორე ლიანდაგები – სურამის უღელტეხილსა და თბილისი-სამტრედიის მონაკვეთებზე.

კავკასიის ფარგლებში მისი დაპროექტებითა და უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა: რკინიგზების, სადგურებისა და კვანძების ელექტროფიკაციისა და მოდერნიზაციის ურთულესი პროექტები; მეწყერ და ზვავსაწინააღმდეგო, ნაპირგასამაგრებელი ნაგებობანი შავი ზღვის სანაპიროზე ტუაფსე-ადლერისა და ადლერ-ბათუმის უბნებზე.

აღსანიშნავია მისი დიდი ღვაწლი თბილისის მეტროპოლიტენის ერთიანი კომპლექსის დაპროექტებაში. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში – 1973-92 წლებში – საკავშირო ინსტიტუტის მუშაობა პროფესიული და შემოქმედებითი თვალსაზრისით დიდი წარმატებით აღინიშნა, კოლექტივმა მრავალი სახელმწიფო ჯილდო დაიმსახურა.

ნაყოფიერი მუშაობისთვის ბატონი ლეონიდე დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და საპატიო სიგელით.

წავიდა ჩვენგან სიცოცხლით სავსე, საუკეთესო და ერთგული მეგობარი, მზრუნველი მამა და ბაბუა. თავისი საქმის უბადლო პროფესიონალი, რომლის ცოდნა და გამოცდილება მომავალ თაობებს წინ წარუძღვება.

**მეგობრების ჯგუფი.**

## რაულ სანიკიძე



საქართველოს გეოლოგიურ სამსახურს, ქართველ ჰიდროგეოლოგთა დიდ სამეგობროს, სანუკვარ ოჯახს და დიდ სანათესაოს, ბობოქარ დღევანდელობას და სამომავლო ძალისხმევებს გამოაკლდა რაულ სანიკიძე. წავიდა ჩვენგან დიდი სიყვარულის და სითბოს მატარებელი კაცი, ლამაზი ოცნებებით დატვირთული, უტყუარი და საიმედო.

23 ოქტომბერს მას 68 წელი შეუსრულდებოდა. აქედან 45 წელი მან პროფესიულ სამსახურს – გეოლოგიის სფეროში საქმიანობას მიუძღვნა. ეს გზა 1959 წელს – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე დაიწყო და განვლო ჯერ კამჩატკის საინჟინრო ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრი (1959-1965 წ.წ.), შემდეგ კი სიცოცხლის ბოლომდე – საქართველოს გეოლოგიური სამმართველო (დღეს გეოლოგიის დეპარტამენტი).

სწორედ საქართველოს გეოლოგიური სამსახური გახდა მისი პროფესიული შესაძლებლობების გამოვლენის, ქართული ჰიდროგეოლოგიის პრობლემებში ადგილის დამკვიდრების და ქვეყნის გეოლოგიური სკოლის მდიდარ ტრადიციებთან შერწყმის გარემო. აქ ჩამოყალიბდა დიდი სამეგობრო, რომლისადმი თავდადებამ შექმნა ცხოვრების ლამაზი ყოველდღიურობა. ვაი, რომ არ დასცალდა მას დამტკბარიყო ამ სიყვარულით, თავისი და თანამდგომთა დიდი კაცობის აღიარებით, შვილების დღევანდელობით და ლამაზი მომავალით.

დიდია მწუხარება რაულ სანიკიძის გარდაცვალებით გამოწვეული. გაოგნებული ოჯახი, ნათესავები და მეგობრები უკანასკნელ გზაზე აცილებენ მას – მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

**მეგობრები.**



საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და ღვაწლმოსილი პედაგოგი, ტექნიკური ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი და თავდადებული მამულიშვილი, საერთაშორისო საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ვიცე პრეზიდენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კარლო თაბუკაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საინჟინრო აკადემიის პრეზიდიუმი.

საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტი და სს „საქართველოს გეოლოგიის და სამთო საქმის ეროვნული კომპანია" იუწყებიან ღვაწლმოსილი გეოლოგის

რაულ სანიკიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს პარლამენტის წევრს ნაზი არონიას მამის

თეოფანე არონიას

გარდაცვალების გამო.

## დღის კალენდარი 28 სექტემბრისთვის

ამოდის 06.53
ჩადის 18.48

( ამოდის 14.02, ჩადის 22.19

წლის 272-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 94 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

ჯვართამაღლების შემდგომი კვირა. ხსენება **დიდმოწამე ნიკიტასი**. ხსენება **ღირსი მამის საკვირველმოქმედი ფილოთეოსისა**. ხსენება **მღვდელმთავარ იოსებ ალავერდელისა.**

### დაიბადნენ:

**ძვ.წ. 551 – კუნ ძი (კონფუცი)**, ჩინელი ფილოსოფოსი, კონფუციონიზმის დამფუძნებელი, გარდაიცვალა ძვ.წ. 479 წელს.

**1573 – მიქელანჯელო კარავაჯო**, იტალიელი მხატვარი, გარდაიცვალა 1610 წელს.

**1803 – პროსპერ მერიმე**, ფრანგი მწერალი, საფრანგეთის აკადემიის წევრი, გარდაიცვალა 1870 წელს.

**1898 – კონსტანტინე პაპინაშვილი**, ქართველი გეოფიზიკოსი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გარდაიცვალა 1975 წელს.

**1908 – ირაკლი ანდრონიკოვი (ანდრონიკაშვილი)**, რუსი მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, გარდაიცვალა 1990 წელს.

**1915 – ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი**, არქიტექტორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

**1916 – ბიძინა ფოჩხუა**, ქართველი ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გარდაიცვალა 1981 წელს.

**1916 – პიტერ ფინჩი**, ინგლისელი მსახიობი, „ოსკარის" პრემიის მფლობელი, გარდაიცვალა 1977 წელს.

**1924 – მარჩელო მასტროიანი**, იტალიელი კინომსახიობი, გარდაიცვალა 1996 წელს.

**1934 – ბრიჯიტ ბარდო**, ფრანგი კინომსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

**ძვ.წ. 48 – გნეუს მაგნუს პომპეუსი**, რომაელი მთავარსარდალი და პოლიტიკური მოღვაწე, დაიბადა ძვ.წ.106 წელს.

**1891 – ჰერმან მელვილი**, გამოჩენილი ამერიკელი მწერალი, ლიტერატურის კლასიკოსი, დაიბადა 1819 წელს.

**1902 – ემილ ზოლა**, ფრანგი მწერალი, დაიბადა 1840 წელს.

**1978 – პავლე I**, რომის პაპი, დაიბადა 1912 წელს.

### მოვლენები:

**490 წელი (ძვ. წ.)**– სოფელ მარათონთან ბერძნებმა დაამარცხეს სპარსელების უზარმაზარი ლაშქარი.

**48 წელი (ძვ.წ.)** – რომაელი მთავარსარდალი პომპეუსი ეგვიპტის მეფე პტოლემე XIII დიონისემ მოკლა.

**1066 წელი** – სან-დიეგო პორტუგალიელმა მეზღვაურმა ქუან კაბრალმა აღმოაჩინა.

**1940 წელი** – დაიწყო იტალიასა და საბერძნეთს შორის ომი.

**1950 წელი** – ინდონეზია გაეროს წევრი გახდა.

**1958 წელი** – საფრანგეთმა მიიღო ახალი კონსტიტუცია.

**1958 წელი** – საფრანგეთმა გვინეას დამოუკიდებლობა მისცა.

**1959 წელი** – თანამგზავრ „ხპლორერ VI"-ის მეშვეობით აღმოაჩინეს დედამიწის რადიაციული სარტყელი.

**1960 წელი** – ნატომ ერთობლივი სამხედრო-საჰაერო ძალები შექმნა.

**1965 წელი** – ფილიპინებში ლავის ამოფრქვევის შედეგად დაიღუპა 500-მდე ადამიანი.

**1972 წელი** – იაპონიამ და ჩინეთმა დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა.

**„მედია-ნიუსი".**

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!

საქართველოს რესპუბლიკა
Sakartvelos Respublika
გამომცემელი შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის" სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" თანამშრომლები.
მთავარი რედაქტორი **რუსლან რუსია.**
ნომრის მორიგე რედაქტორი **ვილენ მარდალეიშვილი.**

**ინდექსი 66434,** მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა: **sakresp@gol.ge**
ვებ გვერდი: **www.open.ge/sakartvelos-respublika**